# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 26 იანვარი 2005 №15 (2338) ფასი 50 თეთრი




## მიხარია!

სანდრო იაშვილი გლაზგოში გაფრინდა

2



# 6 000 000 დოლარი

## გერმანია და კობიაშვილი აზიისთვის







## ჯამარაული ისევ უკრაინაში?

მეტალისტი სამ ქართველს შეიძენს

3

## თქვენი ინტერვიუ

## ლევან კობიაშვილთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია



ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა და ფეხბურთელებიც ბურთს ქომაგისთვის აგორებენ. „სარბიელის" მეშვეობით კი ამიერიდან გულშემატკივარს საშუალება ექნება, კითხვები დაუსვას სახელიან ქართველ ლეგიონერებს. გელზენკირხენის „შალკეს" შუახაზელი ლევან კობიაშვილი პირველია, ვინც „სარბიელის" საშუალებით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს. მოკლედ, გამოგზავნეთ თქვენი შეკითხვები ელექტრონული ფოსტით ან დარეკეთ ტელეფონზე 5 თებერვლის ჩათვლით 12-დან 20 საათამდე, მიუთითეთ თქვენი გვარ-სახელი, ასაკი და ქალაქი. ინტერვიუ თქვენი კითხვებით და ლევან კობიაშვილის პასუხებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 10 თებერვლისა.

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# მიხარია!
## ეს ჩემი ცხოვრების შანსია



**20 წლის** სანდრო იაშვილი დღეს, გამთენიისას, გლაზგოს გზას დაადგა — ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იმად გადალახავს, რომ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ქარიზმატულ კლუბში დამკვიდრდეს — „გლაზგო რეინჯერსის“ მენეჯერი ალექს მაკლიში ხვალიდან შეუდგება იაშვილის გამოცდას.

„უვარჯიშებელი არ ვარ, უკვე სამი კვირაა, ვვარჯიშობ, მაგრამ ჩვენთან ახლა მოსამზადებელი პერიოდია და ასი პროცენტით მზად ჯერ არ ვარ, რასაც ალბათ „რეინჯერსის“ მწვრთნელიც გაითვალისწინებს. მაგრამ ისეც არაა, რომ ვერაფერი ვაჩვენო, ბევრი რამ გამართლებაზეც იქნება დამოკიდებული“ — გვითხრა გუშინ სანდრომ, ვისაც მაკლიშთან რეკომენდაცია შოთა არველაძემ გაუწია.

იაშვილმა ინგლისური არ იცის, მაგრამ „რეინჯერსში“ ორი ქართველია და სანდროს ენის უცოდინარობამ ხელი არ უნდა შეუშალოს. „ჩვენები რომ იქ არიან, მათი დიდი იმედი მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ხიზანიშვლი და არველაძე ყველანაირად გვერდში დამიდგებიან“ — ასეთნაირადაც შეგულიანებულია იაშვილი და ის გლაზგოში ხან ხიზანიშვილთან იცხოვრებს, ხან არველაძესთან.

არველაძე-ხიზანიშვილის გვერდში დგომა ერთია, მაგრამ უცხო გარემო, სახელიანი კლუბი და დიდი მოთხოვნები — 20 წლის იაშვილი ყველაფერ ამას თვითონ უნდა შეეჭიდოს.

„დაძაბული არანაირად არ ვარ, პირიქით, კარგ გუნდში უფრო კარგად შევძლებ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, კარგ ატმოსფეროში უკეთესად ვიხსნები. მოკლედ, არანაირად არ ვარ შებორკილი. „რეინჯერსშიც“ ჩვეულებრივი ადამიანები თამაშობენ ფეხბურთს, ოღონდ მათ მეტი პროფესიონალიზმი და გამოცდილება აქვთ“ — ფსიქოლოგიური ფაქტორი ქარიზმატულ გუნდში ერთი-ორად ფასობს და ვინძლო იაშვილს, ვინც ჩვეულებრივი ფეხბურთელი ნაღდად არ არის, არაჩვეულებრივი საქმე გამოუვიდეს — აიბროქსელობა

„თუ „რეინჯერსში“ არ ჩავირიცხები, არც ეგ იქნება დიდი უბედურება, მაგრამ ცხოვრება მე ახლა შანსს მაძლევს და ეს შანსი ჰაერს არ უნდა გავატანო. ვინც მე „რეინჯერსში“ მისვლის შესაძლებლობა მომცა, ალბათ მასაც აქვს იმის იმედი, რომ საქმეს თავს გავართმევ“ — არველაძე „რეინჯერსიდან“ საცაა წავა და „აიბროქსზე“ თვისტომი მემკვიდრის დატოვება ურიგო აზრი და ამბავი არ უნდა იყოს.

და საერთოდ, თბილისის „დინამოს“ კუთვნილება და ბოლოს „თბილისში“ მოთამაშე სანდრო იაშვილი არის ფეხბურთელი, ვისზეც საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ და კამათობენ, მან ქართული საფეხბურთო საზოგადოება აიძულა, ყბად ელო მისი ნიჭისა და ხასიათის ამბავი, ახლა კი უფრო შორს უნდა რომ გაიჭრას.

„ახლა „რეინჯერსში“ მივდივარ და იცით, რას ვგრძნობ? არაფერს, უბრალოდ, მიხარია“ — ასეთი სიტყვა თქვა იაშვილმა.

**დავით თავართქილაძე**

# ბუნდესლიგა ცუნამის წინააღმდეგ



**გერმანია 2:2 ლეგიონერთა ნაკრები**

1:0 შნაიდერი (26), 1:1 მაკაი (28), 2:1 ასამოა (30), 2:2 მინტალი (50)
**გერმანია:** კანი (ლემანი 46), ჰინკელი (ოვომოიელა 46), მერტესაკერი (ა. ფრიდრიხი 46), ვიორნსი (ფარენჰორსტი 46), პანდერი, შნაიდერი (ბოროვსკი 46), ფრინგსი (ერნსტი 46), ბალაკი (შვაინსტაიგერი 46), ენგელჰარდტი, ასამოა (კლოზე 46), კურანი (პოდოლსკი 46)
**მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი
**ლეგიონერთა ნაკრები:** ვარმუზი (იურიჩი 46), უმით დავალა (სტალტერი 46), ისმაელი (ლუსიო 46), ვან ბუიტენი (ბორდონი 46), შიმუნიჩი (ქობიაშვილი 46), გლები (სალიჰამიჯიჩი 46), მეირა (ნ. კოვაჩი 46), ბაბიჩი (ლინკოლნი 46), კრჟინოვეკი (ზე რობერტო 46), მაკაი (აილტონი 46), მარსელინიო (მინტალი 46)
**მწვრთნელი:** ჰუუბ სტევენსი
**მსაჯი:** ფანდელი
51 904 მაყურებელი

გელზენკირხენში, „აუფ შალკეზე“ გამართულ ვარსკვლავთა შეხვედრას, რომელიც აზიაში ცუნამით დაზარალებულთათვის სახსრების მოკრებას ისახავდა მიზნად, 52 ათასი მაყურებელი დაესწრო. გერმანიის ნაკრებისა და ბუნდესლიგის ოლ სტარის ანუ ბუნდესლიგის ლეგიონერთა გუნდის შეხვედრა ფრედ, 2:2 და 4,6 მილიონი ევროთი (6 მილიონი დოლარით) ხელდამშვენებული დასრულდა. ჩვენთვის, ქართველი გულშემატკივრისთვის ეს მატჩი უპირველეს ყოვლისა იმიტომ იყო საყურადღებო, რომ ოლ სტარში ბუნდესლიგის ქართველი ვარსკვლავი, ლევან კობიაშვილი მონაწილეობდა. ლევანმა მეორე ტაიმში ითამაშა.

გერმანელთაგან გოლები ბერნდ შნაიდერმა და ჯერალდ ასამოამ გაიტანეს, თუმცა გელზენკირხენელი მაყურებლის ყველაზე დიდი ოვაცია ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა როი მაკაიმ დაიმსახურა — საუბარია პირველ ტაიმში შესრულებულ ბრწყინვალე დარტყმაზე, რომელმაც ოლ სტარის მოთამაშეთა გასახარად მიზანს მიაღწია. ლეგიონერთაგან მეორე გოლი სლოვაკმა მარეკ მინტალმა შეაგდო.

მოგეხსენებათ, გერმანია მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანაა და ამდენად შესარჩევ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანიის ნაკრებს ოფიციალური მატჩები აკლია და ამიტომ მისმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა სავარჯიშოდ დამატებითი, თუნდაც ამხანაგური შეხვედრის გამოყენებაზე უარი არ თქვა — პირველ ტაიმში მასპინძელი ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით იყო მინდორზე.

პირველ ტაიმში გერმანელთა მიერ ბურთის კონტროლით კლინსმანი უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო. მოედნის შუაში მიხაელ ბალაკი და ბერნდ შნაიდერი ბატონობდნენ.

26-ე წუთზე, როდესაც შნაიდერმა ბურთი საჯარიმო მოედნის გარეთ მიიღო და ძლიერი დარტყმით ფრანგი მეკარის, გიომ ვარმუზის კარში შეაგდო, „აუფ შალკეზე“ შეკრებილთ სალამოს ყინვა დაავიწყდათ, თუმცა გავიდა ორად-ორი წუთი და ბრაზილიელი მარსელინიოს მაკაისთან გათამაშებულ კედელს ჰოლანდიელის მიერ თავისი ბაიერნელი გოლკიპერის ოლივერ კანის კარის დალაშქვრა მოჰყვა — სიცივისთვის იქ ნამდვილად აღარავის ეცალა.

ამის შემდეგ გერმანია კიდევ ერთხელ დაწინაურდა, თან მალევე — ასამოა ვარმუზის წინ შეძვრა და ჩაწოდებული ბურთი ახლო ძელთან შეაგდო, ზუსტად ერთ წუთში კი კანმა მარსელინიოს გოლისგან იხსნა გერმანიის კარი.

მეორე ტაიმში კლინსმანმა კანის მაგივრად ლონდონის „არსენალში“ ბოლო დროს უქმად დარჩენილი, მაგრამ მაინც კოლეგის კარიდან გამოძევებაზე დაგეშილი იენს ლემანი გაიყვანა მოედანზე და მანაც... ხუთ წუთში მინტალის დარტყმული გაუშვა.

მიმოხილვის დასასრულს კი ერთხელაც შეგახსენებთ, რომ მატჩის მთავარი მიზანი ბურთის გორება კი არა, ცუნამით დაზარალებულ აზიელთათვის ფულის შეგროვება იყო და ამიტომაც გამოაცხადეს სტადიონზე, რომ გერმანელი ხალხის კერძო შენაწირებით ფრიად სოლიდური თანხა, 450 მილიონი ევრო დაგროვდა, პლუს ამ ქვეყნის ფირმებმა 25 მილიონი შეკრიბეს და ზედაც მთავრობის დაპირება, სამ წელიწადში 500 მილიონი ევროს შეგროვება დაადეს.

ბოლო მონაცემებით, ცუნამის სამოცი გერმანელის სიცოცხლე შეეწირა. 593 დღემდე დაკარგულად ითვლება.

**ბაკურა კედია**



მიხაელ ბალაკი ჯერალდ ასამოას გოლს ულოცავს

## ინგლისი
**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩები**
ბრენტფორდი 1:1 ბარნსლი
კოლჩესტერი 5:0 უოლსოლი
**მეორე ლიგა**
**გადადებული მატჩები**
ნოტსი 0:5 მაკლსფილდი
იოვილი 2:2 როჩდეილი
**კონფერენსლიგა**
**გადადებული მატჩი**
ჰალიფაქსი 2:0 ბარტონი
**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**
უოტფორდი 0:1 *ლივერპული* (0:1)
**LDV VANS TROPHY**
**მეოთხედფინალი**
ჰერეფორდი 1:2 *რექსემი*
*ოლდემი* 1:1 დ.დ.(პენ. 5:4) ტრანმერი
ლეიტონი 1:2 *როვერსი*
*საუთენდი* 2:0 სუინდონი

## პორტუგალია
**თასის მერვედფინალი**
ნასიონალი 3:4 დ.დ.(1:1) *პოავიშტა*

## ესპანეთი
**სამეფო თასი**
**1/4 ფინალი. 1 მატჩი**
ბილბაო 3:2 ვალიადოლიდი

## ამხანაგური მატჩი
ბაჰრეინი 0:1 ნორვეგია

## საქველმოქმედო მატჩი
გერმანია 2:2 ბუნდესლიგის ALL STARS

## შოტლანდია
**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**
ლივინგსტონი 1:2 ჰართსი
**ასოციაციის თასი**
**1/16 ფინალი. გადათამაშება**
სტრანრარი 0:2 *ეარი*

## საფრანგეთი
**პირველი დივიზიონი**
**XXIII ტური**
მარსელი 0:2 სოშო
**მეორე დივიზიონი**
**XXIII ტური**
ამიენი 1:2 სედანი
ანჟე 0:1 ლავალი
კლერმონი 0:0 ბრესტი
კრეტეი 0:0 გრენობლი
ნიორი 0:0 შატორუ
რეიმსი 3:0 ლე ავრი
ლე მანი 1:2 გენიონი

## ბელგია
**იუპილერლიგა**
**გადადებული მატჩი**
მონსი — ანდერლეხტი გადაიდო

## საბერძნეთი
**თასის 1/16 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**
*პანიონიოსი* 1:0 ილისიაკოსი (1:0)

## ჰოლანდია
**ამსტელის თასი**
**მერვედფინალი**
დორდრეხტი 1:3 დენ ბოსხი
იგლსი 0:1 ტილბურგი
პსვ ეინდჰოვენი 4:0 ვოლენდამი



გოჩა ჯამარაული უკრაინაში გაიხსენდათ

# ჯამარაული ისევ უკრაინაში?

## მეტალისტი სამ ქართველს უმიზნებს...

**დიდი შანსია,** სულ მალე უკრაინულ-ქართული ტრანსფერი განხორციელდეს — გოჩა ჯამარაულს ლაშა ჯაკობიას ხარკოვის „მეტალისტი“ უხმობს.

მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების 33 წლის გამთამაშებელი დონეცკის „მეტალურგიდან“ წამოსვლის შემდეგ უქმადაა, ერთი-ორჯერ თბილისის „დინამოშიც“ ივარჯიშა, თუმც გია გეგუჩაძის გუნდს კვიპროსულ შეკრებაზე არ გაჰყოლია. „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა კი თქვა, ჯამარაულთან მოლაპარაკებებს გავაგრძელებთ და ეგებ ჩვენი კლუბის მაისურა მოვარგოთო, მაგრამ... გოჩას ნათქვამიც გვახსოვს — თუ ნორმალური უცხოური გუნდის ვარიანტი გამოჩნდა, სიამოვნებით დავთანხმდებიო.

„მეტალისტმა“ კი გუშინ უკრაინაშივე, ევპატორიაში დაიწყო მზადება. ხარკოველთა ახალ თავკაც ალექსანდრ ზავაროვს ჯერჯერობით სულ 17 ფეხბურთელი ჰყავს გუნდში და ახალი მოთამაშეები ჰაერივით სჭირდება. „მეტალისტის“ ვებ-გვერდის ცნობით, კლუბს ევპატორიაში 34 (!) ფეხბურთელის გასინჯვა სურს და მათ შორის ყველაზე სახელიანი სწორედ ჯამარაულია. სხვათა შორის, გოჩას გარდა ზავაროვის გუნდში კიდევ ორ ქართველს — ვიტჯორჯიელ მარცხენაფლანგელ ოლეგ გველესიანსა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობაში მოთამაშე რომან ახალკაცს ელიან.

**ილია ნანობაშვილი**

# შუაკაცი

## ასათიანი სიომინს არ ელაპარაკება



**რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ერთად დღეს ესპანეთში ათდღიან შეკრებაზე სამი ქართველიც მიდის — მალხაზ ასათიანი, რომელიც უკვე გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, ტრავმამოშუშებული მიხეილ აშვეთია და 18 წლის მცველი მათე ღვინიანიძე.**

**„ლოკომოტივი“ იტალიური შეკრებიდან მოსკოვში ერთი კვირის წინ დაბრუნდა, ორი დღე თავის ბაზაზე ივარჯიშა და ახლახან ესენგეს ტურნირიც მოიგო. „ლოკომოტივის“ ქართველებმა კოლექციას ერთი ტიტულიც შემატეს, თუმც მალხაზ ასათიანის თქმით...**

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ესენგეს ტურნირზე სულ ორი მატჩი ჩავატარეთ, ორივე მოვიგეთ და მთავარი პრიზიც ჩვენ დაგვრჩა. „კაუნასი“ და „ნეფთჩი“ დავამარცხეთ, არცთუ ისე ძლიერი გუნდები. მათ კი ტურნირზე ოთხი-ხუთი მატჩი ითამაშეს. მოკლედ, ვერ ვიტყვი, ესენგეს თასის მოგებით მეცხრე ცაზე ვიყავითო, მაგრამ, მაინც, ნებისმიერი პრიზის მოპოვება გუნდისთვის სასიამოვნო და პრესტიჟული ამბავია.

**— იტალიური შეკრების შემდეგ, შეიძლება ასეც ითქვას, მოსკოვში ესენგეს ტურნირის მოსაგებად შეიარეთ...**

— ასე გამოვიდა. იტალიიდან ჩამოვედით, სამ-ოთხჯერ ვივარჯიშეთ, ტურნირი მოვიგეთ და ოთხშაბათს ისევ შეკრებაზე მივდივართ. ამჯერად ესპანეთში, ათი დღით, იქ საერთაშორისო ტურნირშიც ვითამაშებთ.

**— აშვეთიაც მოდის?**

— ისიც და ღვინიანიძეც.

**— აშვეთია უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს?**

— იტალიიდან ჩამოსულებს აშვეთია მოსკოვში ისეთ ფორმაში დაგვხვდა, მწვრთნელს გაუკვირდა კიდეც. მიხომ ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა, მთელი დატვირთვით ვარჯიშობს და მალე ძველებურადაც ათამაშდება.

**— ღვინიანიძე?**

— სიომინს მისი დიდი იმედი აქვს, ამბობს, მათე ძალიან პერსპექტიული ბიჭიაო. ვერ გეტყვით, ღვინიანიძე „ლოკომოტივის“ ძირითადში თამაშს მომავალ სეზონშივე თუ შეძლებს, მაგრამ ვარჯიშებზე სხვებზე მონდომებული რომ არის და მწვრთნელებს თვალში მოსდით, ფაქტია.

**— თავად ისევ ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობ?**

— კი, ძველებურად.

**— ჩანს, სიომინი შენს გამთამაშებლობაზე აღარც ფიქრობს...**

— რას ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ დღესდღეობით ისევ ცენტრალურ მცველად მათამაშებს.

**— ამ საკითხზე მწვრთნელთან არ გისაუბრია?**

— არა, უკვე მივეჩვიე ღაცვაში თამაშს, აღარ მიჭირს. ვიცი, რომ „ლოკომოტივში“ ჩემი საქმე დაცვაა და ამას შევეგუე. თან გუნდსაც ეტყობა, რომ სწორედ შუაცველად ვჭირდები და ჩემი თამაშით კმაყოფილები არიან. ასეთ დროს მწვრთნელისთვის პოზიციის შეცვლის თხოვნას აზრი არ აქვს.

**კობა ინასარიძე**



# კიდევ ერთი ცდა და ახალი იდეა

**ახალი** საგადასახადო კანონით უკმაყოფილთა ბრძოლა გრძელდება — გუშინ ტოტალიზატორთა მესვეურები ერთხელაც შეიკრიბნენ, „კროკუს“ საზღვრულ ოფისში ასზე მეტი კაცი შეგროვდა გზა ხსნისას გამოსაძებნად.

ერთი კვირის წინ საქართველოს ტოტალიზატორთა და ბუქმეიკერთა ასოციაციის ინიციატივით ტოტალიზატორთა მეპატრონეებმა სახელმწიფო ინსტანციებში აფრინეს დოკუმენტი, ხოლო გუშინ იმაზე ილაპარაკეს, თუ ამან რა შედეგი მოიტანა და შემდგომ როგორ იმოქმედონ.

...ამ ეტაპზე ჩვენთვის დადებითი ის არის, რომ გამოჩნდა, თუ რა უცოდინარობის გამოა მიღებული ეს კანონი. სახელმწიფო სტრუქტურებში ბევრმა არ იცის საბუქმეიკერო საქმიანობა რა ბიზნესია. უკვე ბევრი ხვდება, თუ რა კაზუსებთან და შეუსაბამობებთან მიდის ეს საგადასახადო კოდექსი. რამდენიმე პარლამენტარი დაგვპირდა, რომ კოდექსში ცვლილებებს შეიტანენ. ერთმა ისიც კი გვითხრა, ეს საგადასახადო კანონი ჯერ ქალიშვილია და მას ქალიშვილობა სათამაშო ბიზნესმა არ უნდა დააკარგვინოსო.

...ზოგ მოხელეს ტოტალიზატორი ლატარია ეგონა, ანუ ისეთი საწარმო, რომელიც წაგებაში არასდროს არ რჩება. კარგია, რომ ახლა ვითარება შეიცვალა და სახელმწიფო ინსტანციებში ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდათ.

...საგადასახადო ინსპექციას საბოლოოდ ჯერ ვერ დაუდგენია, ტოტალიზატორი არის თუ არა მომსახურების სფერო. მათგან ამის შესახებ პასუხს მალე მივიღებთ.

...ფინანსთა სამინისტროდან მალე მოგვცემენ დირექტივას, თუ ზუსტად რა ფორმით და რა ბეგარა უნდა გადავიხადოთ.

...ტოტალიზატორზე ჩვენთანაც ფიქსირებული გადასახადი უნდა იყოს — რუსეთში ეს ბიზნესი ჩვენზე გვიან დაიწყეს, მაგრამ ჩვენზე ადრე მიხვდნენ, რომ ეს ასე უნდა იყოს. რუსეთში ბეგარის ასეთი ფორმა დიდი ბრიტანეთიდან გადაიღეს, სადაც ეს ბიზნესი 120 წლის წინათ დაიწყო.

და რა იქნება ყველაფერ ამის შემდეგ? ტოტალიზატორების მეპატრონეები კიდევ აპირებენ შეხვედრას, მაგრამ ვინძლო ეს სულ სხვა ღონისძიება იყოს. ერთმა გამომსვლელმა ასეთი იდეა წამოაყენა — შევიკრიბოთ ვაკის პარკში, მოვიყვანოთ იქ ის ათასობით ადამიანიც, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები და სამუშაოს დაკარგვა ემუქრებათ და ფინანსთა სამინისტროსთან საპროტესტო აქცია მოვაწყოთ.

მოსწრება არავის გაუპროტესტებია...

**დავით თაბართქილაძე**

# ლევან ბერიშვილმა მეტალურგთან გაიგრძელა

**ნოვოკუზნეცკის** „მეტალურგ-კუზბასის“ ქართველმა თავდამსხმელმა ლევან ბერიშვილმა კლუბთან კონტრაქტი გააჩანგრძლივა, რაშიც მოულოდნელი არაფერი ყოფილა — ბერიშვილი შარშანდელ სეზონში შეუერთდა „მეტალურგ-კუზბასს“ და მყისვე ლიდერად იქცა. ჩვენებურმა ძირითად შემადგენლობაშიც იოლად დაიმკვიდრა ადგილი და გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა, რაც ნოვოკუზნეცკელებს მნიშვნელოვნად შეუწყობს პირველ დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაში.

მერე ითქვა, ბერიშვილს სხვა გუნდებმაც დაადგეს თვალი, მაგრამ „მეტალურგ-კუზბასმა“ ქართველი მეგოლის გაშვება იუარა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ლევან ბელარუსულ და ბერძნულ გუნდებშიც უთამაშია, „მეტალურგ-კუზბასში“ კი პრემიერლიგელ „მოსკვადან“ (ყოფილი „ტორპედო-მეტალურგი“) გადავიდა.

**კახა ზალამბერიძე**



# ვალერი ჩოლარია: ტრანსფერებიდან თეთრიც არ მიგვიღია



## აჩუქეთ ლოკომოტივს ლოკომოტივი

სტადიონების პრობლემა ქართულ ფეხბურთში აჩრდილივით დაბიჯებს და ძნელად, რომ ეს საქმე ერთ-ორ წელიწადში მოწესრიგდეს. დღეს მხოლოდ „ლოკომოტივის“ სტადიონი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, თუმც არის საშიშროება, რომ სულ მალე იქაც არასაფეხბურთო სიტუაციამ დაისადგუროს. ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ პრესკონფერენცია გამართა

— როგორც იცით, „ლოკომოტივის“ სტადიონი თავის დროზე სახელმწიფოს მიერ აშენდა და 9 მილიონი დოლარი დაჯდა. კარგა ხანია, ამ სტადიონის გაყიდვაზეა ლაპარაკი, მაგრამ ვინ იცის, იქნებ, ახალმა მფლობელმა იგი საკონცერტო მოედნად გადააქციოს და საფეხბურთო გარემო ჩაკვდეს... მერე არც ერთი საერთაშორისო დონის სტადიონი აღარ გვექნება და ეგებ ჩვენს კლუბებსა და ნაკრებებს ნეიტრალურ ქვეყნებში მოუწიოთ თამაშმა.

გამოსავალი ერთია: კლუბ „ლოკომოტივს“ ვთხოვთ, მიმართოს მთავრობას, რომ ეს სტადიონი მას აჩუქოს. ფედერაციაც კლუბს მხარში დაუდგება. ამაში სენსაციური არაფერია, რადგან რკინიგზის დეპარტამენტი სახელმწიფო სტრუქტურაა და ნამდვილად კეთილი ჟესტი იქნება მისგან, თუ ქართულ კლუბს შეეწევა. ბოლოს და ბოლოს, ეს სტადიონი ხომ კლუბ „ლოკომოტივისთვის“ აშენდა. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვები — ფეხბურთი პრიორიტეტული სფერო იქნება და ჩემს პირად კონტროლზე ავიყვან — გამართლდება — ამბობს ვალერი ჩოლარია.

სფფ-ის გენერალური მდივანი ეროვნული სტადიონის პრობლემებსაც შეეხო. ჩოლარიამ განაცხადა, რომ სტადიონის აქციების 60 პროცენტი თბილისის მერიისაა, 32 პროცენტი სპორტსაზოგადოება „დინამოსი“, ხოლო 5 პროცენტი ფეხბურთის ფედერაციის..

„სტადიონს მხოლოდ 20 ათასი სკამის დამონტაჟება არ უშველის. მინდორი, საპირფარეშოები და განათებაც ხომ მოსაწესრიგებელია?! ამას ფინანსები სჭირდება და ფედერაციამ ეროვნულ სტადიონს 178 ათასი დოლარი და მილიონი შვეიცარიული ფრანკი მოახმარა, როცა მხოლოდ 5 პროცენტს ვფლობთ. ჩვენი მოთხოვნაა, შეიქმნას სტადიონის სარეკონსტრუქციო კომისია, რომელშიც ანატოლი მილჩენკოს და დავით პეტრიაშვილის დარი პროფესიონალები უნდა იყვნენ“.

სტადიონების გარდა, ვალერი ჩოლარიამ სატრანსფერო საქმიანობაზეც ისაუბრა და უარყო ხმები, თითქოს ფედერაციას 400 ქართველი ფეხბურთელი ჰყავდეს გაყიდული და აქედან თანხას იღებდეს.

„ტრანსფერის თაობაზე აგენტი და სასურველი ფეხბურთელის კლუბი თანხმდებიან, ჩვენ კი აქედან ერთი თეთრიც არ გვრჩება და არც არასოდეს მოგვითხოვია. ჯერ საქართველოში ისეთი დრო არ დამდგარა, კლუბები შეიკრიბონ და ტრანსფერებიდან აღებული თანხა ფედერაციას გადაურიცხონ“.

რაც შეეხება 8 და 9 თებერვალს გასამართ ფედერაციის აღმასკომის სხდომასა და ყრილობას, ვალერი ჩოლარიამ განაცხადა, რომ აღმასკომზე სხვა საკითხებთან ერთად 19 და 17-წლამდელთა ნაკრებების მთავარ მწვრთნელებსაც დაამტკიცებენ. ჩოლარიას არ უთქვამს, თუმც თითქმის გადაწყვეტილია, რომ 19-წლამდელებს კახი ცხადაძე უთავკაცებს, 17-წლამდელთა დამრიგებელი კი კობა ჟორჟიკაშვილი იქნება.

და კიდევ: როგორც შევიტყვეთ, ფედერაციის ყოფილ გენერალურ მდივან ანდრო აბაშიძეს გუშინწინ სასამართლოდან სარჩელი გამოუტანია და მისი საქმე საბოლოოდ დაიხურა.

**ილია ნანობაშვილი**

# მივედი, ვნახე, ვისწავლე...

## გოჩა ტყებუჩავა: ჟირესს ტულუზში აღმერთებენ

*ალენ ჟირესი სამშობლოდან საქართველოში გუშინ დაბრუნდა. მასთან ერთად ჩამოვიდნენ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი გოჩა ტყებუჩავა და მისი ასისტენტი ნიკა ჩხეიძე, რომლებიც ფრანგულ „ტულუზში“ სტაჟირებზე იყვნენ.*

*ტყებუჩავამ საფრანგეთში წასვლამდე გვითხრა, ტულუზური სტაჟირებით სამწვრთნელო ცოდნას ერთიორად გავიღრმავებო და ვნახოთ, რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ქართველი ახალგაზრდების დამრიგებელი „სამფეროვანთა“ ქვეყნიდან*

„ალენ ჟირესმა მართლაც კარგი სამსახური გაგვიწია. მისი მეშვეობით „ტულუზის“ ვარჯიშებს ვესწრებოდით და გუნდის ოთხი მატჩი ვნახეთ. წარმოიდგინეთ, ჟირესი დილის რვა საათიდან დაღამებამდე ჩვენთან ერთად იყო და ყველაფერში გვეხმარებოდა. დიდი გუნდის გარდა „ტულუზის“ სხვადასხვა ასაკობრივი გუნდის ვარჯიშებსაც ვადევნებდით თვალს, გვაინტერესებდა, როგორ ვითარდება საფრანგეთში ბავშვთა ფეხბურთი. ვაანალიზებდით, რატომ ჩაატარეს ესა თუ ის ვარჯიში დღეს და არა ხვალ, როდის რაზე აკეთებდნენ აქცენტს...

მაგალითად, მატჩის წინა დღეს „ტულუზის“ დიდი გუნდის ვარჯიშზე ისეთივე მაღალი ტემპია, როგორიც თამაშზე უნდა იყოს. მწვრთნელისთვის მუშაობა გაცილებით იოლია, რადგან ფეხბურთელები ყველაფერს ზუსტად უსრულებენ, ფიზიკურად სუსტი მოთამაშე იქ ფეხს ვერ მოიკიდებს. ქართველები კი, ადრეც ხშირად მითქვამს, ფიზიკურად ძალიან მოიკოჭლებენ“ — გვითხრა გოჩა ტყებუჩავამ და დასძინა, „ტულუზში“ თითქმის სულ ტაქტიკური ვარჯიშებია და ბურთი მუდმივად თამაშშიაო.

ვარჯიშების გარდა, ტყებუჩავა „ტულუზის“ თავკაცის თეორიულ მეცადინეობასაც დაესწრო, სადაც მწვრთნელს მონიტორზე სულ 20 წუთში გაუშიფრავს გუნდის თამაშის ხარვეზები.

ზოგადად, უცხო მწვრთნელებს გუნდის ვარჯიშებზე ძნელად თუ უშვებენ, თუმც ალენ ჟირესის ავტორიტეტი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ტყებუჩავასა და ჩხეიძეს ამის პრობლემა არ შექმნიათ.

„ჟირესი ძალიან უყვართ, ქუჩაში გამოსვლისას არ ასვენებდნენ, სულ ავტოგრაფებსა და სამახსოვრო ფოტოების გადაღებას სთხოვდნენ. ბატონი ალენი რომ დიდი ფეხბურთელი იყო, ეს თავისთავად, მაგრამ ფრანგებმა ისიც მშვენივრად იციან, რომ იგი საქართველოს ნაკრებშიც რიგიანად მუშაობს“.

მოგეხსენებათ, გოჩა ტყებუჩავამ 9 თებერვალს ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩისთვის შემადგენლობა უკვე დაასახელა და მათ შორისაა გია გურულის ვაჟი სანდროც, რომელიც „ლიონის“ დუბლშემადგენლობაში თამაშობს.

„სანდრო გურულის თამაშს დავესწარი, ნაღდად პერსპექტიული ბიჭია. სხვა თუ არაფერი, იგი კვირაში ორჯერ „ლიონის“ ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ჟუნინიო პერნამბუკანოსა თუ სილვენ ვილტორდთან უწევს ბურთის გაგორება. რაც მთავარია, ნაკრების კანდიდატი უშუალოდ საქმეში ვნახე, სხვა ლეგიონერებს კი მხოლოდ ნაკრებში თუ ვხედავ“ — თქვა გოჩა ტყებუჩავამ.

მწვრთნელის თქმით, სალიტვო შემადგენლობა საბოლოოა და მხოლოდ რომელიმე ფეხბურთელის ტრავმის შემთხვევაში შეიცვლება.

„არ მინდა, ნაკრებს მიღმა ვინმე დაუმსახურებლად დარჩეს. ახლა პირველად გამოვიძახე დავით ჭილაძე, რომელიც ლიტვურ „სუდუვაში“ მუდმივად ძირითად შემადგენლობაშია, ასევე ახლები არიან მოსკოვის ლოკომოტიველი მათე ღვინიანიძე და „ვილნიუსში“ მოთამაშე ვალერი კაციტაძე. რატომ არ უნდა ვნახოთ ეს ბიჭები საქმეში?!“

როგორც იცით, გოჩა ტყებუჩავას ახალგაზრდულ ნაკრებში კვლავ ვერ მოხვდა „თბილისის“ ფორვარდი სანდრო იაშვილი. ეს უკვე ცალკე სალაპარაკო თემაა, ტყებუჩავამ კი ორიოდსიტყვიანი კომენტარი გააკეთა — იაშვილს ახლა უცხოურ კლუბში („გლაზგო რეინჯერსში“) გადასვლის შანსი აქვს და არ გვინდა, ხელი შევუშალოთო...

**ილია ნანობაშვილი**



გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე საფრანგეთიდან კმაყოფილები დაბრუნდნენ

# მაგისგან ხეირი არ არის
## ბელამი და სუნესი: სერიალი გრძელდება





**„ნიუკასლში"** გრძელდება კრეიგ ბელამის სკანდალი.

წინააღმდეგობამ მენეჯერ გრემ სუნესსა და ფეხბურთელს შორის ახალი ძალით იფეთქა შაბათ საღამოდან, როცა სუნესმა „არსენალთან" მატჩის განაცხადში არ შეიყვანა უელსელი გარემარბი. ამის გარეგნული მიზეზი ის არის, რომ პარასკევს ბელამიმ კოჭი აიტკივა და ვარჯიში მიატოვა, შაბათს კი სალსალამათი გამოცხადდა კლუბში.

თუმცა, სკანდალის მიზეზი სხვაა. ყველა იცნობს სუნესს, როგორც მკაცრსა და კონფლიქტურ მენეჯერს, რომელიც „ნიუკასლში" მისვლის დღიდან რამდენიმე ფეხბურთელთან კონფლიქტშია ჩაბმული. მისი ხასიათი რომ იცოდნენ, თავზეხელაღებული ნიუკასლელები ნიძლავებსაც დებდნენ, აბა, პირველად რომელს დაგვეტაკებაო.

ბელამის შემთხვევაში, ბოსი ამბობს, რომ ფეხბურთელს ის აღიზიანებს, რომ ხანდახან ნახევარდაცვაში თამაშს თხოვენ. თავად ბელამი ამას უარყოფს, სუნესმა უბრალოდ ამომიჩემაო.

ორბაშათ საღამოს „ნიუკასლის" თავმჯდომარემ, ფრედი შეპარდმა თქვა, უელსელს არსად გავუშვებთ, ძალიან გვჭირდებაო. მაგრამ იმავე საღამოს, ბელამი ტელევიზიით გამოვიდა და თქვა: „მენეჯერის ლაპარაკს რომ ვუსმენ, გაოგნებული ვარ. არა მხოლოდ ჩემს ზურგს უკან მუშაობს ჩემს წინააღმდეგ, არამედ იტყუება კიდეც".

ამის მომსმენი შეპარდი ისე აღშფოთდა, რომ თქვა, კლუბის ლანდვისთვის ბელამის ჯარიმას დავადებთო და სიტყვაც აასრულა: ბელამის ორი კვირის ხელფასი (80 ათასი გირვანქა) ჩამოაჭრეს. შეპარდს უფრო მეტად აღშფოთებული კაცის ხმაც მალევე მოესმა: სუნესმა დაურეკა და უთხრა, მაგისგან ხეირი არ არის და როგორც მენეჯერი მის გაყიდვას მოვითხოვო.

თავმჯდომარე და მენეჯერი დარწმუნებულნი არიან, რომ ბელამიმ პარასკეული ტრავმა გამოიგონა, რადგან ამის შესახებ მას თანაგუნდელებისთვის უთქვამს. თავკაცები ბელამის შეხვედრიან და შეუხურებიათ, ფეხბურთელმა კი პირობა დადო, ბიჭებს საჯაროდ მოვუხდი ბოდიშსო, თუმცა „არსენალთან" თამაშის შემდეგ მამხილებელი ინტერვიუები დაურიგებია.

„მას საუცხოო ხელფასი აქვს და მიმაჩნია, რომ არაპროფესიონალურად იქცევა" — ამბობს შეპარდი.

ბელამი კი „სენტ ჯეიმს პარკის" გულის მოგებას ცდილობს: „წამითაც არ მიფიქრია წასვლაზე „ნიუკასლში", კარშიც რომ ჩამიყენონ, ხმას არ ამოვიღებ. მე არასდროს მოვითხოვ აქედან წასვლას. „ნიუკასლი" ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. როგორც ამ სეზონში ვკაიფობ, ისე იშვიათად მითამაშია".

„ნიუკასლის" დიდმა კაპიტანმა ალან შირერმა კი სუნესს დაუჭირა მხარი: „მენეჯერს იმისი უფლება, ვისაც ათამაშებს. პოზიციას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ მოგებისთვის ვიბრძვით და ვისაც არ უნდა, ცხადია, შეცვლიან".

ბოლოს ცოტა ძველი ამბავი რომ გავიხსენოთ, სუნესმა და ბელამიმ პირველად ოქტომბერში იჩხუბეს, „ჩარლტონთან" თამაშისას, როცა უელსელი მწვრთნელმა შეცვალა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# არაფერი მითქვამსო
## მაურინიუ ბექჰემის კრიტიკას უარყოფს





**ჟოზე მაურინიუმ** უარყო კვირის „ნიუს ოფზ ვორლდში" გამოქვეყნებული სიტყვები იმის შესახებ, რომ არც დევიდ ბექჰემს და არც „რეალის" სხვა რომელიმე ფეხბურთელს არასდროს იყიდის, რადგან ისინი „ჰოლივუდის ვარსკვლავები" არიან, მას კი ფეხბურთელები სჭირდება.

„რა ეშმაკია ეს გალაქტიკო? — ამბობდა მაშინ „ჩელსის" მენეჯერი — ის ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებით გაღის ფონს".

მთელი ეს ლაპარაკი კი იმას მოჰყვა, რომ თითქოს „რეალის" ახალ მწვრთნელს, ვანდერლეი ლუშემბურგოს ბექჰემი აღარ მოსწონს, თავად ბექჰს კი ზაფხულში ეთქვას, „ჩელსიში" ვითამაშებდიო.

ჰოდა, მაურინიუმ გუშინვე იუარა ინგლისელთა კაპიტნის გაკრიტიკება: „დევიდ ბექჰემი ის კაცია, ვისაც პატივს ვცემ, როგორც ადამიანს და როგორც მოთამაშეს. მასზე ცუდი არაფერი მითქვამს. და, საერთოდ, არაფერი მითქვამს".

მოდი და გაუგე მწვრთნელებს და ვარსკვლავებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ტურეს იდაყვი აღმოუჩინეს



**„არსენალის"** მცველ კოლო ტურეს განზრახ უხეშობას აბრალებენ. ბოლო ტურში, „მეთოფეებმა" შინ „ნიუკასლს" 1:0 რომ მოუგეს, იმ მატჩში მასპინძელთა მცველმა მსაჯისგან მალულად ალან შირერს ზურგში იდაყვი ჩასცხო. არბიტრმა ვერ დაინახა, მაგრამ ფირზე ყველაფერი კარგად გამოჩნდა.

სადისციპლინო კომიტეტმა კოლო ტურე დღეს გარჩევაზე დაიბარა. ფეხბურთელმა ბრალდება თუ აღიარა, ავტომატურად სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის, თუ უარყო, მაშინ ხვალ გაარკვევენ მის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელმა 32 შეხვედრაში ყვითელი ბარათი მხოლოდ ერთხელ მიიღო.

**გაგა ხუციშვილი**



# იტალიური ოსკარი
## კაკამ მაგრად იკაკანა

*„მილანის" ბრაზილიელი კაკა იტალიური სერია A-ს ფეხბურთელთა გამოკითხვით, ამავე სერიაში 2004 წლის საუკეთესო ფეხბურელად გამოცხადდა*

**ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐᲡ,** ცხადია, ჯილდოს გადაცემაც მოჰყვა, რომელიც ბრაზილიელმა გუშინ, იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციისგან მიიღო. კაკამ ამ ნომინაციაში რომაელ ფრანჩესკო ტოტის აჯობა. ის სერია A-ში მოთამაშე წლის საუკეთესო უცხოელიც შეიქნა, საუკეთესო იტალიელობა კი ტოტის ერგო.

წლის მეკარედ „იუვენტუსის" კარის დარაჯი ჯანლუიჯი ბუფონი გამოცხადდა, ვინაც მილანელი ნელსონ დიდა და ლაციოელი ანჯელო პერუცი ჩამოიტოვა.

წლის მცველი უბერებელი პაოლო მალდინია, ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი კი პარმელმა ალბერტო ჯილარდინომ მიიღო. მას ინტერელ ობაფემი მარტინსს და რომაელ ანტონიო კასანოს აჯობა.

წლის მწვრთნელი კარლო ანჩელოტია, მეორე და მესამე ნომინაცი კი რობერტო მანჩინი და ჩეზარე პრანდელი მიიჩნიეს.

წლის მსაჯი, არ გაგიკვირდებათ და, პიერლუიჯი კოლინა აღმოჩნდა.

დავძინოთ, რომ მთავარ ნომინაციაში გამარჯვებულმა კაკამ ახლახან „ჩელსის" შეთავაზება" მიიღო და უარი თქვა, მილანიდან წასვლას არსად ვაპირებ, ჩემი სახლი აქ არის, თუმცა „ჩელსის" შემოთავაზება დიდად საპატიო რამ არისო.

**კოტე კეკელია**

# რა შუაშია მუსოლინი?

## დი კანიო იქ დაიბარეს





ბენიტო მუსოლინი პაოლო დი კანიომ არაერთხელ აქო

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი პაოლო დი კანიოს საქმეს გაარჩევს. შეგახსენებთ, რომ მეჩვიდმეტე ტურის მატჩში, რომელშიც „ლაციომ“ „რომას“ 3:1 მოუგო, დი კანიომ გოლი გაიტანა და ქომაგებს ფაშისტურად გაშლილი მკლავით მიესალმა.

ექსცენტრიულ ფეხბურთელს ავტობიოგრაფიულ წიგნში ბენიტო მუსოლინი არაერთ სტრიქონში უქია, თუმც თავად დი კანიომ თქვა, მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და გოლის აღნიშვნას პოლიტიკასთან ნუ დააკავშირებთო.

მიუხედავად ამისა, სადისციპლინო კომიტეტმა ლაციოელი მაინც დაიბარა. „პოლიტიკური სარჩულიც რომ მოვაშოროთ, მის საქციელი „ფეირ პლეის“ წესებს ეწინააღმდეგება“ — წერია ფეხბურთის ფედერაციაში პრესრელიზში.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ზრდილობიანი დინო ძოფი გამოცდას ზაფხულში ჩააბარებს

*გუშინწინ, შუადღისას სააგენტოებმა ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს, „ფიორენტინას“ უფროსობა მწვრთნელთან, სერჯო ბუზოსთან შეხვედრას და გუნდის ბოლოდროინდელი უხეირო თამაშის გამო განმარტების მიღებას აპირებდა. სალამოსვე კი იმავ სააგენტოებმა უკვე სხვა ცნობა გაავრცელეს: „ფიორენტინას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს, ლეგენდარული მეკარე დინო ძოფი*



**პირველი**, რაც ძოფმა დანიშვნის მერე თქვა, ის იყო, რომ ბედნიერი ვარ, აქ მისვლითო. ამ საყვარლდებული ზრდილობიანი განცხადების მერე კი მსოფლიოს ჩემპიონმა პრესკონფერენციაზე უფრო საინტერესო რამეებზე ილაპარაკა:

— მუშაობას უდიდესი ენთუზიაზმით ვიწყებ. ცხადია, მესმის, რომ უამრავი საქმე მექნება, მაგრამ „ფიორენტინა“ უდიდესი ტრადიციის მქონე კლუბია და მისი წევრობა ნებისმიერი ადამიანისთის პატივია.

— ჯერჯერობით 6-თვიანი კონტრაქტი მაქვს. ეს, ასე ვთქვათ, გამოსაცდელი ვადაა. თუ კლუბის ხელმძღვანელობა წინსვლას დაინახავს, კონტრაქტს მაშინ გავაგრძელებთ.

— „ფიორენტინაში“ უამრავი საინტერესო იდეით მოვდივარ, რომელთა განსახორციელებლად დრო მჭირდება. ამიტომ არსებული კონტრაქტის გახანგრძლივების პერსპექტივის გარეშე აქ მუშაობას არც დავთანხმდებოდი.

— ახლა მზად არ ვარ გიპასუხოთ, თუ კონკრეტულად რისი ბრალია გუნდის ბოლოდროინდელი ჩავარდნა. მართალია, „ფიორენტინას“ თამაშებს ტელევიზიით რეგულარულად ვუყურებდი, მაგრამ ტელევიზორში ნანახის საფუძველზე დასკვნების გამოტანა სწორი არ არის. ცოტა ხანი დამჭირდება, ყველაფერში კარგად რომ გავერკვე.

მოკლედ, დინო ძოფი „ფიორენტინას“ მესამე მწვრთნელია ამ სეზონში. გუნდი სერია A-ში რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ, ემილიანო მონდონიკომ დააბრუნა, რომელიც მერე „იების“ მეკარეთა მწვრთნელმა სერჯო ბუზომ შეცვალა.

გუშინწინდელი მოხსნის მერე ბუზომ თქვა: „ცხადია, იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ამავე დროს მეამაყება, რომ უზარმაზარი სამუშაო გავწიე, რაც „ფიორენტინას“ სამომავლო წარმატებების საწინდარი უნდა გახდეს.“

სერჯო ბუზო კი მოხსნეს, მაგრამ ეს პატივცემული სენიორი კვლავ თავის ძველ ადგილს დაუბრუნდა — ძოფის თხოვნით, ბუზო „ფიორენტინას“ მეკარეებს ისევ მოამზადებს.

**ირაკლი ნინიძე**

*„ინტერის“ ფორვარდმა ადრიანომ საქვეყნოდ თქვა, ჩემი ოცნება მადრიდის „რეალში“ თამაშიაო, აქამდე კი არაერთხელ განუცხადებია, არავითარი „რეალი“, აქედან წასვლას არ ვაპირებო*

# ადრიანო მამინაცვალის გზაზე ჯილარდინომ ესპანური დაიფიცა

„ახლა წასვლა არ გამოვა, რადგან მე „ინტერისთვის“ მეტად საჭირო ფეხბურთი ვარ, მაგრამ ვიმედოვნებ, მომავალში „სამეფო კლუბში“ აღმოვჩნდები“ — ბრაზილიელმა ფეხბურთელმა „კანალ პლუსთან“ ინტერვიუში გული გახსნა.

ცნობილია, რომ მადრიდული კლუბის პრეზიდენტმა „ინტერს“ ადრიანოს სანაცვლოდ 60 მილიონი ევრო შესთავაზა და ფორვარდის წაყვანა ზაფხულშივე სურს.

„ფლორენტინო პერესისგან ქება ბევრჯერ მსმენია. კარგი იქნება, მისი სურვილი თუ ასრულდება. პერესს ჩემი სათამაშო ყაიდა მოსწონს და „ინტერის“ მატჩებსაც თურმე ხშირად ამიტომ უყურებს. მინდა, ფეხბურთისგან სიამოვნება მივიღო. იტალიაში ახალგაზრდა ჩამოვედი და ბევრი რამ ვისწავლე. „ინტერთან“ ერთად რაიმე ჯილდოს მოგება და მერე ესპანეთში გადასვლა მსურს“ — დასძენს ადრიანო.

ბრაზილიელს განსაკუთრებით არიგო საკისკენ მიუწევს გული — „პარმაში“ თამაშისას გუნდში დამკვიდრებაში საკი ძალიან დამეხმარა და მეორე მამად მიმაჩნიაო.

ადრიანოს გარდა, მადრიდის „რეალში“ ალბერტო ჯილარდინოს გადასვლაზეც არის ლაპარაკი, თავად ფეხბურთელი კი ასე ამბობს: „გავყვები თუ არა საკის „რეალში“? ეს შესაძლებელია, რადგან ესპანური ფეხბურთი ყოველთვის მხიბლავდა, მაგრამ ამჟამად მხოლოდ საკუთარი თამაშის დახვეწაზე ვფიქრობ. ისიც ცნობილია, რომ ჩემი წაყვანა „მილანსაც“ უნდა. მე დანამდვილებით მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, ყველაფერი ივნისში გარკვევა“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ბრაზილიელი ადრიანო მადრიდის „რეალზე“ ოცნებობს

# სარდინიაზე ურუგვაელები მრავლდებიან

**დიდი** შანსია, ტურინის „იუვენტუსი“ მალე კიდევ ერთ მცველს დაემშვიდობოს — ვეტერან ურუგვაელ პაოლო მონტეროს „კალიარიში“ უპირებენ გაყიდვას.

იტალიური პრესის ცნობით, მხარეებმა თითქმის ყველაფერზე მოილაპარაკეს და მალე კონტრაქტსაც გააფორმებენ. აღსანიშნავია, რომ „კალიარიში“ უკვე თამაშობს ორი ურუგვაელი — ნელსონ აბეიხონი და დიეგო ლოპესი, ეს კი, მონტეროს ადაპტაციაში ერთიორად შეუწყობს ხელს, თუმც სარდინიელებიც და ტურინელებიც შესაძლო ტრანსფერზე კომენტარს ჯერ არ აკეთებენ.



პაოლო მონტერო

გეცოდინებათ, „იუვემ“ ერთი ვეტერანი მცველი მარკ იულიანო უკვე გაყიდა ესპანურ „მალიორკაში“, ხოლო ნიკოლა ლეგროტალიე სეზონის ბოლომდე გაანათხოვრეს „ბოლონიაში“. თუ გუნდი მონტეროსაც დატოვა, ფაბიო კაპელოს განკარგულებაში მხოლოდ ექვსი ნომინალური მცველი დარჩება. შესაბამისად, ავტომატურად გამოირიცხა იგორ ტუდორის გაყიდვის ვარიანტი, რაც ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა, ლუჩანო მოჯიმაც დაადასტურა: „მართალია, ტუდორის გასხვისებაზე გვქონდა საუბარი და მსურველიც ბევრია, მაგრამ მას წასვლის უფლებას ვერ მივცემთ, რადგან გუნდში მხოლოდ ორი ცენტრალური მცველი დარჩება, რაც დაუშვებელია. შემიძლია ისიც გითხრათ, რომ ჩვენთვის სატრანსფერო ფანჯარა ფაქტობრივად, დაიხურა“.

**გიორგი ქაქაბაძე**

*მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის დაწყებამდე 500 დღე დარჩა. საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს კი ერთი პრობლემა აწუხებს — ბილეთების უკმარისობა*

# ბეკენბაუერის მონოლოგი

## თანამედროვე ფეხბურთი კარგ ფორმაშია




„ყველაფერი რიგზეა — სტადიონებიც ამ ზაფხულისთვის მზად იქნება. რაც უფრო ახლოვდება 2006 წლის 9 ივნისი, მით უფრო მატულობს ვნებათაღელვა. მხოლოდ ბილეთებია გადაუჭრელი პრობლემა. ჩვენ მხოლოდ 3 მილიონ 200 ათასი ცალი გვაქვს დაბეჭდილი, არადა, დარწმუნებული ვარ, თუნდაც ათ მილიონს უმალ გავყიდდით გერმანიაში, უამრავი გულშემატკივარი კი სხვა ქვეყნებიდან გვესტუმრება. ბილეთების სიცოტავის მიუხედავად, მჯერა, რომ სამოცდათოთხივე მატჩზე სტადიონები გაივსება" — განაცხადა „კაიზერ ფრანცმა".

ფრანც ბეკენბაუერი ფეხბურთელობისას 1974 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 1990-ში კი გერმანიის ნაკრებს წვრთნიდა და აქაც „მოოქროვდა". ახლა მას მესამე ოქროს მოგების შანსი აქვს, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტს. „ვიმედოვნებ, რომ 2006 წელს ჩემპიონი ბუნდესნაკრები გახდება, მაგრამ მე მათ უკვე ველარ დავეხმარები. ჩემი ფეხბურთელობაც და მწვრთნელობაც დასრულდა. მსოფლიოს ჩემპიონობა მხოლოდ ნაკრებისთვის კი არა, მთელი ქვეყნისთვის იქნება უმნიშვნელოვანესი მოვლენა. 1974 წელს, მუნდიალი რომ მოვიგეთ, მაშინ გერმანია ორად იყო გაყოფილი, ამჟამად კი სულ სხვა ქვეყანა გვაქვს და ფეხბურთიც სხვაა. მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატს მხოლოდ ორი ტელეარხი გადასცემდა, ახლა კი თითქმის ორასია. მედიის ინტერესიც ასეთი არ იყო.

1974-ში ჯგუფურ ეტაპზე დემოკრატიულ გერმანიასთან რომ წავაგეთ, მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა მთხოვა, პრესკონფერენციაზე წამომყევი, ჟურნალისტებს ავუხსნათ, რა მოხდა, რატომაც დავმარცხდითო. ჩვენ ოცამდე კორესპონდენტთან ერთად რესტორანში წავედით და იქ ვისაუბრეთ მატჩზე. ახლა კი რა ხდება, თავადაც იცით, წარმოიდგენდა ვინმე, ყველაფერი ასე თუ შეიცვლებოდა?

11 სექტემბერს ფრანც ბეკენბაუერს 60 წელი შეუსრულდება. მას მიაჩნია, რომ თანამედროვე ფეხბურთი საკმაოდ საამო სანახაობა: „ევრო 2004-ზე ბერძენთა დაცვითი ყაიდის გამარჯვების მიუხედავად, ეს თამაში გაცილებით შეტევითი, სწრაფი და მძლავრი გახდა, ვიდრე ჩემს ახალგაზრდობაში იყო. პორტუგალიაში ისიც ვნახეთ, რომ დიდ და პატარა გუნდებს შორის სხვაობა თანდათანობით მცირდება. ფეხბურთელებიც უფრო სწრაფად აზროვნებენ. ერთადერთი, რაც არ მომწონს, მსაჯთა ხშირი სტვენაა. უმნიშვნელო წაქცევაზე თუ დაჯახებაზე უსტვენენ. ამ მხრივ ბუნდესლიგა ინგლისის პრემიერლიგაზე უარეს მდგომარეობაშია. ეს კალათბურთს არ უნდა დაემსგავსოს, სადაც ფიზიკური შეხება თითქმის აკრძალულია. ამ წვრილმანს ყურადღებას თუ არ მივაქცევთ, თანამედროვე ფეხბურთი „კარგ ფორმაშია". ისევე როგორც მრავალი გულშემატკივარი გერმანიაში და მთელს მსოფლიოში, მეც მოუთმენლად ველი 2006 წლის 9 ივნისს, როცა მსოფლიოს ჩემპიონატს საზეიმოდ გავხსნით".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჰოიზერს ციხე ელის

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირს რობერტ ჰოიზერმა თავსატეხი გაუჩინა. 25 წლის მსაჯ-დურგალ ჰოიზერს „პადერბორნ" — „ჰამბურგის" მატჩის გარდა სხვა საეჭვოდ ნამსაჯი თამაშებიც ამოუქექეს.

კავშირის წევრები გუშინწინ შეიკრიბნენ და ხუთი საათის განმავლობაში ისაუბრეს. აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებული შეხვედრის გარდა კიდევ ხუთი მატჩის შედეგი ჰგავს გრიგებულს, ამათგან ოთხში კი 25 წლის დურგალი უსტვენდა.

ინებეთ ხუთივე წყვილი: „ესენი" — „კიოლნი", „ალენი" — „ბურგჰაუზენი" (მეორე ბუნდესლიგა), „პადერბორნი" — „ქემნიცი", „ბრაუნშვაიგი" — „ზანკტ პაული" „ვუპერტალი" — „ვერდერი" (რეგიონალლიგა). მხოლოდ „ესენი" — „კიოლნი" არ უმსაჯა ჰოიზერს, თუმც ეჭვობენ, რომ მისი ხელი ამ შეხვედრის შედეგშიც ურევია.

საქმეს საფეხბურთო კავშირის გარდა ბრაუნშვაიგის პროკურორიც იძიებს. ცხადია, რობერტ ჰოიზერი მარტო ვერ „ჩააწყობდა" თამაშებს, თანამზრახველები აუცილებლად უნდა ვიპოვნოთ. შესაძლოა, სკანდალში მწვრთნელ-ფეხბურთელებიც იყვნენ გრეულნიო.

კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა თეო ცვანციგერმა მოკლედ მოჭრა, გერმანული ფეხბურთის ღირსების შემლახავნი საკადრისად დაისჯებიანო.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ანელკა გიჟმაჟებს სტამბოლში გაექცათ




**თურქულ** გაზეთ „ფანატიკის" ცნობით, სტამბოლურ „ფენერბაჰჩეში" ნიკოლა ანელკას გადასვლა მოგვარებულია.

ჭირვეული ფრანგი ფორვარდი „მანჩესტერ სიტიდან" წასვლას მთელი სეზონის მანძილზე ცდილობდა — აქაურობა მომბეზრდა, ჩემპიონთა ლიგა და დიდ გუნდში თამაში მსურსო, თქვა ანელკამ და „სიტის" გიჟმაჟმა ფანებმაც მოიძულეს.

კევინ კიგანს, მანჩესტერელთა მენეჯერს ფეხბურთელის მხოლოდ გაყიდვა სურდა და არა იჯარით განათხოვრება, მაგრამ კლუბები საბოლოოდ ქირაზე მორიგდნენ.

„ფენერბაჰჩე" პრემიერლიგელ კლუბს სამ მილიონ ევროს გადაუხდის, ანელკას კი მილიონ შვიდასი ათასს ხელფასად.

ფრანგი სტამბოლში ჯერჯერობით სეზონით ბოლომდე დარჩება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მარტელს სანტინი გაუკვირდა

## ლანსი ტრიოს ჩააბარეს



ჟაკ სანტინი ჯერაც უმუშევარია

**ფრანგული** „ლანსის" პრეზიდენტმა ჟერვის მარტელმა უარყო ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს გუნდის მწვრთნელად ჟაკ სანტინის დანიშვნას აპირებდეს.

როგორც უკვე გაცნობეთ, მარტელმა ორი დღის წინ მწვრთნელის სავარძლიდან ჟოელ მიულერი გაათავისუფლა და მის დროებით შემცვლელად ფრანსის გიიო დანიშნა, რომელსაც ერიკ სიკორა და დიდე სენა ეხმარებიან.

„ეკიპი" კი ჯიუტად ამტკიცებს, პრეზიდენტის ფავორიტი მაინც ჟაკ სანტინიაო.

სანტინი გასული წლის ნოემბერში წავიდა „ტოტენჰემიდან" და ახლა უმუშევარია. ჟერვის მარტელი დასძენს: „გარწმუნებთ, ამ დღეებში არაეის შევხვედრილვარ, ჟაკ სანტინი მხოლოდ სამი კვირის წინ ვნახე. ჩვენ მაშინ, უბრალოდ, გუნდის მომავალზე ვისაუბრეთ. არ მესმის, რატომ უნდა ვთქვა უარი სამეულზე, რომლებსაც გუნდი ჩავაბარე? ისინი „ლანსს" კარგად იცნობენ და არ გამოვრიცხავ, რომ მომავალი სეზონიც ამ ტრიოთი დავიწყოთ.

შეგახსენებთ, ფრანსის გიიოს აქამდე „სოშოსა" და არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაკრების თავკაცთა თანაშემწედ უმუშავია, მთავარ მწვრთნელად კი პირველად დანიშნეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

*მოსკოვური ცსკა-სა და რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი სერგეი სემაკი ფრანგულ პსჟ-ში როგორც იქნა, გადავიდა*

# რუსები საფრანგეთში

## სემაკი პარიზშია, პიმენოვი მეცში



სერგეი სემაკი

„პირობები საბოლოოდ შევათანხმეთ და სემაკმაც ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა" — განაცხადა პარიზული კლუბის პრეზიდენტმა ფრანსის გრაიმ. პსჟ-მ სატრანსფერო ფასი მიჩქმალა, სამაგიეროდ, არმიელთა პრეზიდენტმა ევგენი გინერმა თქვა, 2 მილიონ 700 ათასი ევრო გადაგვიხადესო.

გეცოდინებათ, სერგეი სემაკი კვირაზე მეტხანს იმყოფებოდა პარიზში, ვარჯიშობდა, იქაურ ატმოსფეროსაც ეგუებოდა და მხოლოდ კონტრაქტის დეტალების დაზუსტებას ელოდა.

მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი რუსი ნახევარმცველის თამაშით მაშინ მოიხიბლა, როცა ცსკა-მ ჩემპიონთა ლიგის მატჩში სტუმრად მოუგო პსჟ-ს 3:1 და მაშინ სამივე გოლი სემაკმა მიითვალა.

ამასობაში, საფრანგეთის კიდევ ერთ გუნდში, შესაძლოა, რუსლან პიმენოვი გადავიდეს. მოსკოვის „ლოკომოტივის" ფორვარდი ამჟამად „მეცთან" ვარჯიშობს და, თუ იქაურებს თავი მოაწონა, სავარაუდოდ კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**



ხუან ლაპორტასა და სანდრო როსელის შორის უთანხმოება ფრანკ რაიკარდის გამო ჩამოვარდა

# განხეთქილების ფრანკი

## ლაპორტა და როსელი ბარსელონამ შეარიგა

*ესპანური პრიმერას ლიდერმა „ბარსელონამ“ გასულ უქმეებზე „კამპ ნოუზე“ ნასტუმრებ „რასინგს“ 3:0 მოუგო და ქულათა მარაგს მორიგი სამი ქულა შემატა. „ბარსას“ ქომაგობა გამარჯვებაზე მეტად, ვინძლო, კლუბის პრეზიდენტის ხუან ლაპორტასა და ვიცე-პრეზიდენტ სანდრო როსელის ერთად ხილვამ გაახარაო, წერს კატალონიური „სპორტი“.*

*საქმე ისაა, რომ ამ ბოლო ხანს ლაპორტა და როსელი ერთმანეთთან უბრად იყვნენ და მიუხედავად ამ ამბის მალვისა, პრეზიდენტ-ვიცე-პრეზიდენტის ბუტიაობა გახმაურდა, ახლახან კი ისიც გახდა ცნობილი, რომ ლაპორტა და როსელი შერიგდნენ. რა ჰქონდათ გასაყოფი ხუან ლაპორტასა და მის მარჯვენა ხელს, ამის გასარკვევად, სჯობს, ცოტა შორიდან დავიწყოთ.*

**ხუან ლაპორტას** გაპრეზიდენტების შემდეგ კატალონიური კლუბის მართვის ხელწერა და სატრანსფერო პოლიტიკა თვისებრივად შეიცვალა. „ბარსას“ მოსაფერიანებლად და ევროპის ბობოლა კლუბთა მარაქაში დასაბრუნებლად 42 წლის ადვოკატმა ერთგული ხალხი შემოიკრიბა და ამ გუნდში ერთ-ერთი მთავარი როლი — ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა — ესპანეთში ცნობილ ბიზნესმენს, სანდრო როსელის ერგო. როსელიმაც საქმეს გულიანად მოჰკიდა ხელი და 2003-04 წლების სეზონის დაწყებამდე პირველი ხმაურიანი ტრანსფერიც გაჩარჩა — „მანჩესტერ იუნაიტედს“ და „რეალს“ ბრაზილიელი რონალდინიო ცხვირწინ აცალა. ლაპორტამ კი, თავის მხრივ, მწვრთნელად ჰოლანდიელი ფრანკ რაიკარდი მიიყვანა.

სწორედ რაიკარდის გამო ჩამოვარდა უთანხმოება პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს შორის. „ბარსამ“ სეზონი ცუდად დაიწყო, „რეალსა“ და „ვალენსიას“ გვარიანად ჩამორჩა და, ჩემპიონობას კი ჩივის, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე ადგილიც საოცნებო უჩანდა. ჰოდა, როსელიმ რაიკარდის მოხსნა და მის ნაცვლად ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ლუიშ ფელიპე სკოლარის დანიშვნა მოითხოვა. ლაპორტამ ვიცე-პრეზიდენტის წინადადებას წაუყრუა და ჰოლანდიელ მწვრთნელს ხელი არ ახლო. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, არც შემცდარა — „ბარსელონამ“ სეზონის მეორე ნახევარი წარმოუდგენლად შედეგიანად ჩაატარა, მოსისხლე „რეალს“ თავზე წამოაჯდა, ოღონდ გვარიანად დაწინაურებულ „ვალენსიას“ ველარ შესწვდა და მეორე ადგილს დასჯერდა. ლაპორტა ზეიმობდა — „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე საკვალიფიკაციო ბარიერის გავლის გარეშე მოხვდა.

შარშან, ზაფხულში, როსელიმ ლაპორტას კვლავ სკოლარიზე ჩამოუგდო სიტყვა. პრეზიდენტი ამჯერადაც რაიკარდის ერთგული დარჩა, მით უფრო, მყარი არგუმენტები უმაგრებდა ზურგს. ლაპორტამ ვიცეს ბრაზილიელის დაწყება ურჩია და მას და სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინს გუნდის გასაძლიერებლად ახალი ფეხბურთელების შეძენა დაავალა. დეკოს, ედმილსონისა და ბელეტის გაბარსელონელება სწორედ სანდრო როსელის დამსახურებაა, სამუელ ეტოოს ტრანსფერი კი ხუან ლაპორტას გაჩარხულია.

დაიწყო 2004-05 წლების სეზონი და „ბარსელონას“ წაუგებელმა სერიამ სრულიად ესპანეთი მის ფავორიტობაზე აალაპარაკა. გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიც წარმატებით გალია და მერვედფინალში დაიგულა თავი. ამასობაში კი ლაპორტა-როსელის ურთიერთობა კვლავ გაფუჭდა. როგორც ვთქვით, ამ ამბის გახმაურებას კლუბის დირექტორატი და თავად პრეზიდენტ-ვიცე-პრეზიდენტი ერიდებოდნენ, მაგრამ როცა როსელი დეკემბერში დირექტორატის სხდომას და „კამპ ნოუზე“ „სოსიედადთან“ მატჩს არ დაესწრო, ესპანურმა პრესამ საეჭვო უეჭველად მიიჩნია.

კლუბის მმართველობაში განხეთქილებას დიდი ტრავმიანობაც დაერთო — ედმილსონი, ჟიული, ხერარდი, ლარსონი, გაბრი, ხორკერა, მოტა — ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი და მეორე მეკარე კარგა ხნით ჩამოშორდნენ გუნდს და მთელი სიმძიმე თორმეტ ფეხბურთელს დააწვა. ეტყობა, ლაპორტაც და როსელიც მიხვდნენ, რომ ბუტიაობის დრო აღარ იყო და ერთმანეთს ხელი გაუწოდეს.

შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი ხუან ლაპორტამ გადადგა. ის ამბობს: „სულაც არ მსურს, რომ ჩვენმა უთანხმოებამ გუნდზე უარყოფითად იმოქმედოს. „ბარსელონა“ პირველ ადგილზეა და ლიდერობის შესანარჩუნებლად გუნდისა და კლუბის ხელმძღვანელობის ერთიანობაა საჭირო“.

როსელის პასუხმაც არ დააყოვნა: „შეუცვლელი არავინაა და თუ „ბარსელონას“ წაადგება, მე წავალ. მაგრამ, მჯერა, კლუბს ჯერ კიდევ გამოვადგები. ასე ფიქრობს პრეზიდენტიც. ჩვენ ვილაპარაკეთ და მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ერთად გავაგრძელებთ მუშაობას. ჩვენს პირად მოსაზრებას გუნდის მომავალი არ უნდა გადავაყოლოთ. „ბარსელონა“ ამას არ იმსახურებს“.

შაბათს „კამპ ნოუზე“ ხუან ლაპორტა და სანდრო როსელი გვერდიგვერდ ისხდნენ...

**სოსო ქოტორეიშვილი**



# გასრულდა ესე ამბავი...

## ალბერტინი კატალონიელია

**33 წლის** იტალიელი ნახევარმცველი დემეტრიო ალბერტინი ოფიციალურად გახდა „ბარსელონას“ ფეხბურთელი.

ალბერტინი გუშინ ჩავიდა კატალონიის დედაქალაქში და საღამოს სამედიცინო შემოწმებაც წარმატებით გაიარა.

„იგი სრულიად ჯანმრთელია“ — მოკლედ მოჭრა „ბარსას“ ექიმმა და დემეტრიოს ბარსელონელობა მიულოცა.

ცხადია, კმაყოფილებას ვერ მალავდა კატალონიელთა ჰოლანდიელი თავკაცი ფრანკ რაიკარდიც, მისი აზრით, იტალიელის მდიდარი გამოცდილება „ბარსას“ უეჭველად წაადგება.

ალბერტინი 22 ნომრიანი მაისურით ითამაშებს. მისი დებიუტი ახალ გუნდში კი სავარაუდოდ, ამ უქმეებზე შედგება, როცა პრიმერადივიზიონის ლიდერ „ბარსელონას“ „სევილიასთან“ სტუმრად მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

**გიორგი გუგაძიძე**

# ტორესის ულტიმატუმი

## ან ვითამაშოთ, ანაც გაგვიშვით!



მადრიდის „ატლეტიკოს“ ახალგაზრდა ვარსკვლავი ფერნანდო ტორესი თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილოა

გუშინ „ელ ნინიოს“ აგენტმა ხოსე ანტონიო მარტინმა იქაური „ლიბრე-დირექტოს“ ფურცლებიდან ულტიმატუმი წაუყენა გუნდის შეფობას — თუ „ატლეტიკო“ პრიმერადივიზიონში კვლავაც ულიმღამოდ ითამაშებს, მისი კლიენტი კარიერის გასაგრძელებლად სხვა კლუბში გადავა.

ხოსე მარტინს მედიისთვის ხსენებული ულტიმატუმის ვადა ჯერ არ გაუმხელია, თუმც ცხადია, რომ ფერნანდო ტორესს „ატლეტიკოში“ ბურთაობა ძველებურად აღარ ხიბლავს.

„გარწმუნებთ, ფერნანდოს „ატლეტიკოსთან“ მხოლოდ ეკონომიკური ხელშეკრულება არ აკავშირებს, იგი ყოველ მატჩში ბოლომდე იბრძვის კლუბის ღირსების დასაცავად. ჯერჯერობით „ვისენტე კალდერონიდან“ წასვლას არ ვგეგმავთ, მაგრამ თუ „ატლეტიკომ“ ვითარება არ გამოასწორა, მაშინ იძულებულნი ვიქნებით, აქაურობა დავტოვოთ“ — დასძენს ხოსე მარტინი.

ჩვენ კი შევახსენებთ, 20 წლის ფერნანდო ტორესის გადაბირებით არაერთი ბობოლა კლუბია დაინტერესებული. ჩამოვთვალოთ? ინებეთ: „მილანი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“, „რეალი“, „ბარსელონა“ და მიუნხენის „ბაიერნი“.

**ლადო ხომერიკი**





# ბერძნული სამართალი
## პასუხი მსაჯმა უნდა აგოს

**პირეოსის** „ოლიმპიაკოსმა“ და ჩვენი „დინამოს“ ავად ნაცნობმა „პანიონიოსმა“ გუშინ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის ის გადაწყვეტილება გააპროტესტეს, რომლის ძალითაც მათ ჯარიმის გადახდა (400 ათასი ევრო) დაეკისრათ და სამსამი ქულაც ჩამოეჭრათ.

ორი კვირის წინანდელი ამბავია: ამ გუნდების 9 იანვრის შეხვედრა ჩაიშალა, რაკი უბილეთო პირეოსელმა გულშემატკივრებმა „პანიონიოსის“ სტადიონის წინ ჩხუბი ატეხეს, რომელიც ბილეთიანებმა ტრიბუნებზე გააგრძელეს და მასპინძელთა გულშემატკივრები აიყოლიეს. საბოლოოდ კი, გასაშველებლად და დასაშოშმინებლად ჩარეული პოლიციელები ისე სცემეს, რომ რამდენიმე სამართალდამცველი საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა. ბუნებრივია, ამგვარ პირობებში თამაშის ჩატარება არბიტრმა შეუძლებლად მიიჩნია.

ახლა კი ორივე გუნდის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მსაჯი არასწორად მოიქცა, თამაში რომ არ ჩაატარა. კლუბებს საბერძნეთის საფეხბურთო ლიგის ახლად არჩეული პრეზიდენტი ალექსანდროს ლიკურეზოსიც ემხრობა და ამბობს, მსაჯს მხოლოდ უკვე დაწყებული მატჩის შეჩერების უფლება ჰქონდა, მან კი ჯერაც დაუწყებელი თამაშის ჩაშლა ბრძანაო: „კანონში პირდაპირ წერია, რომ მსაჯს უფლება აქვს თამაში საკუთარი შეხედულებისამებრ შეწყვიტოს, მაგრამ არც ერთ კანონში არ წერია, რომ მსაჯს უფლება აქვს გადაწყვიტოს, თამაში უნდა ჩატარდეს თუ არა. ასე რომ, მსაჯს თამაში რომ დაეწყო და რამდენიმე წამში გაეჩერებინა, მას ვერავინ შეედავებოდა, ასე კი, მისი გადაწყვეტილება უკანონო იყო.“

ანუ კლუბების და ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტის აზრით, გულშემატკივართა ხულიგნობისა და პოლიციელთა ცემის გამო პასუხი მსაჯმა უნდა აგოს.

გარდა ნახსენები სასჯელისა, ფედერაციამ „ოლიმპიაკოსსა“ და „პანიონიოსს“ ოთხ-ოთხი საშინაო მატჩის უმაყურებლოდ ჩატარებაც უბრძანა.

**ირაკლი ნინიძე**

## იტალია

**სერია B. XXII ტური**

**კროტონე 1:1 პერუჯა**

0:1 გ. დელვეკიო (31), 1:1 ა. გალიარდო (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 22 | 13 | 8 | 1 | 44:18 | 47 |
| პერუჯა | 22 | 11 | 7 | 4 | 31:19 | 40 |
| ვერონა | 22 | 11 | 5 | 6 | 43:28 | 38 |
| ემპოლი | 22 | 10 | 7 | 5 | 32:20 | 37 |
| ტორინო | 22 | 11 | 4 | 7 | 27:21 | 37 |
| ასკოლი | 22 | 10 | 6 | 6 | 29:26 | 36 |
| ტრევიზო | 22 | 10 | 5 | 7 | 27:25 | 35 |
| პიაჩენცა | 22 | 10 | 2 | 10 | 28:30 | 32 |
| ალბინოლეფე | 22 | 8 | 6 | 8 | 29:25 | 30 |
| ჩეზენა | 22 | 8 | 6 | 8 | 28:31 | 30 |
| ტერნანა | 22 | 7 | 7 | 8 | 23:25 | 28 |
| არეცო | 22 | 5 | 12 | 5 | 31:27 | 27 |
| მოდენა | 22 | 9 | 4 | 9 | 23:24 | 27 |
| ვიჩენცა | 22 | 8 | 3 | 11 | 33:37 | 27 |
| კატანია | 22 | 6 | 9 | 7 | 21:26 | 27 |
| პესკარა | 22 | 6 | 8 | 8 | 22:30 | 26 |
| ბარი | 22 | 5 | 10 | 7 | 22:23 | 24 |
| ტრიესტინა | 22 | 6 | 6 | 10 | 24:32 | 24 |
| სალერნიტანა | 22 | 6 | 5 | 11 | 27:37 | 23 |
| კროტონე | 22 | 5 | 8 | 9 | 23:29 | 20 |
| კატანძარო | 22 | 4 | 6 | 12 | 21:40 | 18 |
| ვენეცია | 22 | 3 | 6 | 13 | 15:30 | 15 |

*„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა*

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XVIII ტური**

**აინტრახტი 1:0 ალემანია**

1:0 ვან ლენტი (22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუისბურგი | 18 | 12 | 3 | 3 | 29:15 | 39 |
| კიოლნი | 18 | 11 | 4 | 3 | 32:20 | 37 |
| ფიურტი | 18 | 11 | 3 | 4 | 28:17 | 36 |
| ალემანია | 18 | 9 | 4 | 5 | 38:19 | 31 |
| აინტრახტი | 18 | 8 | 4 | 6 | 33:28 | 28 |
| ზაარბრიუკენი | 18 | 8 | 3 | 7 | 25:20 | 27 |
| აუე | 18 | 7 | 3 | 8 | 26:21 | 24 |
| მიუნხენი | 18 | 6 | 6 | 6 | 24:27 | 24 |
| ბურგჰაუზენი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:23 | 23 |
| ტრიერი | 18 | 5 | 8 | 5 | 22:26 | 23 |
| ალენი | 18 | 5 | 7 | 6 | 18:20 | 22 |
| უნტერჰახინგი | 18 | 6 | 2 | 10 | 26:28 | 20 |
| კოტბუსი | 18 | 5 | 4 | 9 | 21:27 | 19 |
| ერფურტი | 18 | 4 | 7 | 7 | 13:23 | 19 |
| ობერჰაუზენი | 18 | 5 | 4 | 9 | 20:32 | 19 |
| კარლსრუე | 18 | 4 | 6 | 8 | 20:30 | 18 |
| დინამო | 18 | 5 | 3 | 10 | 24:35 | 18 |
| ესენი | 18 | 3 | 8 | 7 | 23:33 | 17 |

## ესპანეთი

**სეგუნდადივიზიონი XXI ტური**

**მალაგა B 0:0 ტერასა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 21 | 12 | 6 | 3 | 36:22 | 42 |
| კადისი | 21 | 12 | 4 | 5 | 34:14 | 40 |
| ელჩე | 21 | 11 | 4 | 6 | 31:23 | 37 |
| ეიბარი | 21 | 11 | 4 | 6 | 27:21 | 37 |
| სელტა | 21 | 8 | 10 | 3 | 27:20 | 34 |
| ვალიადოლიდი | 21 | 9 | 6 | 6 | 31:25 | 33 |
| უელვა | 21 | 9 | 6 | 6 | 19:13 | 33 |
| ხიმნასტიკი | 21 | 9 | 5 | 7 | 20:19 | 32 |
| ფეროლი | 21 | 7 | 10 | 4 | 28:19 | 31 |
| ხერესი | 21 | 8 | 7 | 6 | 19:19 | 31 |
| ლეიდა | 21 | 8 | 5 | 8 | 24:24 | 29 |
| ალმერია | 21 | 7 | 7 | 7 | 18:16 | 28 |
| სპორტინგი | 21 | 7 | 6 | 8 | 20:20 | 27 |
| ტენერიფე | 21 | 6 | 9 | 6 | 23:27 | 27 |
| პოლი ეხიდო | 21 | 6 | 8 | 7 | 23:23 | 26 |
| ტერასა | 21 | 7 | 4 | 10 | 24:29 | 25 |
| მალაგა B | 21 | 6 | 7 | 8 | 19:25 | 25 |
| სალამანკა | 21 | 6 | 5 | 10 | 26:30 | 23 |
| მურსია | 21 | 5 | 5 | 11 | 15:30 | 20 |
| სიუდად მურსია | 21 | 3 | 10 | 8 | 25:36 | 19 |
| პონტევედრა | 21 | 2 | 7 | 12 | 18:36 | 13 |
| კორდობა | 21 | 3 | 3 | 15 | 10:26 | 12 |

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. XXIII ტური**

**ლორიანი 1:2 ტრუა**

0:1 ბანგურა (8), 0:2 გრაქსი (17), 1:2 ზიანი (27)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 22 | 12 | 5 | 5 | 31:20 | 41 |
| ტრუა | 23 | 11 | 5 | 7 | 39:32 | 38 |
| ლე მანი | 22 | 10 | 5 | 7 | 24:20 | 35 |
| სედანი | 22 | 9 | 7 | 6 | 20:20 | 34 |
| შატორუ | 22 | 7 | 12 | 3 | 27:20 | 33 |
| მონპელიე | 22 | 9 | 6 | 7 | 23:18 | 33 |
| გენიონი | 22 | 7 | 11 | 4 | 18:15 | 32 |
| ბრესტი | 22 | 7 | 10 | 5 | 24:24 | 31 |
| დიჟონი | 22 | 7 | 9 | 6 | 23:21 | 30 |
| გრენობლი | 21 | 7 | 8 | 6 | 28:26 | 29 |
| გენგამი | 22 | 8 | 5 | 9 | 28:28 | 29 |
| ლავალი | 22 | 8 | 5 | 9 | 25:27 | 29 |
| რეიმსი | 22 | 7 | 8 | 7 | 22:28 | 29 |
| ამიენი | 22 | 6 | 9 | 7 | 19:21 | 27 |
| ლორიანი | 23 | 8 | 3 | 12 | 28:33 | 27 |
| კლერმონი | 21 | 5 | 9 | 7 | 25:24 | 24 |
| ლე ავრი | 22 | 6 | 6 | 10 | 15:20 | 24 |
| კრეტეი | 22 | 5 | 7 | 10 | 20:24 | 22 |
| ანჟე | 22 | 4 | 9 | 9 | 21:28 | 21 |
| ნიორი | 22 | 6 | 3 | 13 | 20:31 | 21 |

## ინგლისი

**პრემიერლიგა XXIV ტური**

**ბლექბერნი 0:1 ბოლტონი**

0:1 დიუფი (77)

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნაილი, ტოდი, მოკოენა, დ. მატეო, ემერტონი, სევიჯი, დ. ტომპსონი, მ. პედერსენი, ბოტროიდი (დ. ჯონსონი 62), პ. გალაჰერი (სტიდი 62)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, ბენ ჰაიმი, ნგოტი, რ. გარდნერი, ნოლანი, ოკოჩა (კ. დევისი 52), კამპო, სპიდი, იანაკოპულოსი (მ. პედერსენი 67), დიუფი (ფადიგა 78)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: სევიჯი, დიუფი, იანაკოპულოსი, ნოლანი, დევისი

მსაჯი: ბენეტი

20 056 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 24 | 19 | 4 | 1 | 48:8 | 61 |
| არსენალი | 24 | 15 | 6 | 3 | 53:25 | 51 |
| მანჩესტერი | 24 | 14 | 8 | 2 | 37:14 | 50 |
| ევერტონი | 24 | 13 | 5 | 6 | 28:25 | 44 |
| ლივერპული | 24 | 11 | 4 | 9 | 36:25 | 37 |
| მიდლსბრო | 24 | 10 | 7 | 7 | 39:33 | 37 |
| ჩარლტონი | 24 | 11 | 4 | 9 | 28:33 | 37 |
| ტოტენჰემი | 24 | 9 | 6 | 9 | 29:26 | 33 |
| ბოლტონი | 24 | 9 | 6 | 9 | 31:31 | 33 |
| სიტი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:26 | 31 |
| ასტონ ვილა | 24 | 8 | 7 | 9 | 27:29 | 31 |
| ნიუკასლი | 24 | 7 | 8 | 9 | 35:41 | 29 |
| ფულემი | 24 | 8 | 4 | 12 | 31:40 | 28 |
| პორტსმუთი | 24 | 7 | 6 | 11 | 26:34 | 27 |
| ბირმინგემი | 24 | 6 | 8 | 10 | 27:30 | 26 |
| ბლექბერნი | 24 | 5 | 10 | 9 | 21:34 | 25 |
| კრ. პალასი | 24 | 5 | 6 | 13 | 27:37 | 21 |
| საუთჰემპტონი | 24 | 3 | 9 | 12 | 25:39 | 18 |
| ნორვიჩი | 24 | 2 | 11 | 11 | 23:46 | 17 |
| ვესტ ბრომვიჩი | 24 | 2 | 10 | 12 | 19:44 | 16 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

**ინგლისური** „ბლექბერნის“ ხელმძღვანელობა მზად არის, 6 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ ბარი ფერგიუსონს გუნდის დატოვების უფლება მისცეს. 26 წლის შოტლანდიელს კარიერა ნისლიან ალბიონზე ვერ აეწყო და ახლა მას „რეინჯერსში“ დაბრუნება უნდა. ანალოგიური სურვილი აქვთ „ჩაფრენასაც“, მაგრამ ისინი თავიანთ ყოფილ კაპიტანში მხოლოდ 3 მილიონს ახდიან. „ბლექბერნის“ თავმჯდომარე ჯონ უილიამსმა კი მკაცრად თქვა — 6 მილიონს პენსიც არ დააკლდებაო.

**ესპანური** „სევილიას“ ცენტრალური მცველი ხავი ნავარო ერთი თვე ვერ ითამაშებს, 30 წლის ფეხბურთელმა „ალბასეტესთან“ მატჩში ცხვირი გაიტეხა. დაწვრილებითმა გაშუქებამ აჩვენა, რომ მოტეხილობა ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე თავიდან ვარაუდობდნენ. ექიმების თქმით, ნავაროს „პანათინაიკოსთან“ უეფას თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩის გამოტოვება მოუწევს.

**იტალიური** „მილანის“ ფორვარდმა ფილიპო ინძაგიმ გუშინ თანაგუნდელებთან ერთად ივარჯიშა და ორმხრივ საწვრთნელ მატჩში ერთი გოლიც გაიტანა. არაა გამორიცხული, პიპო მომავალ უქმეებზე „ბოლონიასთან“ შეხვედრის განაცხადშიც მოხვდეს. უკიდურეს შემთხვევაში, ინძაგის მინდორზე დაბრუნებას 8 თებერვლისთვის ელიან

**ინგლისური** „ტოტენჰემი“ შესაძლოა, რობი კინმა დატოვოს. 24 წლის ირლანდიელს გუნდში აჰმედ ჰოსამ მიდოს მისვლა არ ეპიტნავა. ამბობენ, ახალგაზრდა ეგვიპტელი კინს ძირითად შემადგენლობაში ადგილს წაართმევსო. ეს კი, „ლიდსის“ ყოფილ ფორვარდს არ აკმაყოფილებს და კლუბის გამოცვლაზეც ამიტომ ფიქრობს. მისი შეძენა „ევერტონს“ და „ასტონ ვილას“ სურთ.

**გერმანულმა** „შტუტგარტმა“ „პალმეირასის“ აწ უკვე ყოფილ ფეხბურთელთან, ელსონთან გააფორმა ოთხწლინახევრიანი კონტრაქტი. 23 წლის ნახევარმცველის ფასს და შეთანხმების სხვა დეტალებს მხარეები არ ახმაურებენ. „იგი ძალიან პერსპექტიული მოთამაშეა და იმედია, გუნდსაც მალე შეეგუება“ — თქვა „შტუტგარტის“ მწვრთნელმა მათიას ზამერმა.

**იტალიური** „რომა“ ახალი მეკარის ძიებაშია. დედაქალაქელთა ამჟამინდელი კარის დარაჯი ივან პელიცოლი არც თუ ისე დამაჯერებლად თამაშობს და, სავარაუდოდ, კლუბი მასთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებს. როგორც გაირკვა, რომაელები 25 წლის შტუტგარტელ ტიმო ჰილდებრანდს უმიზნებენ.

**შოტლანდიური** „რეინჯერსის“ მეკარე შტეფან კლოსი კარიერის დასრულებას „ჩაფრებში“ აპირებს. გავრცელებული ინფორმაციით, 33 წლის გერმანელით რამდენიმე ინგლისური კლუბიცაა დაინტერესებული, თუმც კლოსის აგენტმა განაცხადა, მომავალ ზაფხულს „რეინჯერსთან“ ახალ კონტრაქტს გავაფორმებთ, შტეფანს გლაზგოში სურს დარჩენა, იქამდე, სანამ ფეხბურთის თამაშს თავს არ დაანებებსო.

**რუსული** „სატურნის“ თავდამსხმელ ნიკოლა პავლოვიჩით ინგლისური „კრისტალ პალასი“ დაინტერესდა. გავრცელებული ცნობით, ლონდონელები მზად არიან, ახალგაზრდა ფორვარდში 5 მილიონი გირვანქა გაიღონ. ამ ტრანსფერის განხორციელება „არწივთა“ თავკაც იან დოუვის ძალიან სურს. მისი აზრით, პავლოვიჩი გუნდის საუკეთესო ბომბარდირ ენდრიუ ჯონსონისთვის მშვენიერი მეწყვილე იქნება.

**ინგლისური** „ლივერპულის“ ესპანელი ნახევარმცველი ხაბი ალონსო სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. ნაახალწლევს „ჩელსისთან“ მატჩში მიღებული ტრავმა გაცილებით სერიოზული გამოდგა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ალონსოს დაბრუნებას მარტისთვის ელოდნენ, მაგრამ დაწვრილებითმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მის კოჭს ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება.

**ჰოლანდიის** ახალგაზრდული ნაკრებისა და „ექსელსიორის“ 20 წლის ფორვარდი მუნირ ელ ჰამდაუი ლონდონურ „ტოტენჰემში“ გადადის. ფეხბურთელი ახლა ინგლისშია და „მამლებთან“ პირადი კონტრაქტის დეტალებს აგვარებს. სატრანსფერო ფასი და ხელშეკრულების სხვა პირობები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

**ფრანგულმა** „მეცმა“ ორი ფეხბურთელი გადაიბირა — ნიგერიელი ბართოლომეო ოგბეჩე „ბასტიადან“ და ივან გვოზდენოვიჩი „ბრიუგედან“. 20 წლის ოგბეჩე თავდამსხმელია, ხოლო 26 წლის გვოზდენოვიჩი ნახევარმცველი. ორივე „მეცს“ იჯარის წესით შეუერთდა.

**სენეგალის** ნაკრების 27 წლის ნახევარმცველი ამდი ფეიე „ნიუკასლმა“ „პორტსმუთს“ წაჰგვარა. „ძალიან კარგი ტრანსფერი გავჩარხეთ, ფეიეს დიდი ხანი ვაკვირდებოდი. ამდი ჩემს გუნდს ერთიორად გააძლიერებს“ — კმაყოფილებას ვერ მალავდა სუნესი. ჩვენ კი დავძენთ, რომ სენეგალელი ფეიე უკვე მესამე ფეხბურთელია, ვინაც ზამთრის ამ სატრანსფერო სეზონში გადავიდა „ნიუკასლში“. „კაჭკაჭებმა“ აქამდე კონტრაქტები ჟან-ალენ ბუმსონგს და სელესტინ ბაბაიაროს გაუფორმეს.

**ესპანური** „ლევანტეს“ გერმანელ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს „ფულჰემის“ ჰოლანდიელი მეკარის, ედვინ ვან დერ სარის გადაბირება სურდა და მის სანაცვლოდ ინგლისელებს მილიონი ევროც შესთავაზა, მაგრამ ვან დერ სარმა ლონდონურ კლუბთან გუშინ ახალი კონტრაქტი გააფორმა: ჰოლანდიის ნაკრების კარის დარაჯი „ფულჰემის“ საკუთრება 2006 წლის ივნისამდე იქნება.

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონების გაცნობით ადგილზე

### ინგლისი. ჩემპიონატი

**26 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 2 | დერბი-ლიდსი | 2.15 | 3.2 | 3.15 | 1.28 | 1.27 | 1.58 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 38 | დანდი იუნაიტედი-დანდი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 39 | ჰართსი-აბერდინი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 40 | ინვერნესი-დანფერმლაინი | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| 18:00 | 41 | მოსერუელი-ჰიბერნიანი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 42 | რეინჯერსი-ლივინგსტონი | 1.15 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.77 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 43 | კილმარნოკი-სელტიკი | 9.0 | 4.5 | 1.25 | 3.0 | 1.09 | 1.0 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 44 | ერდრი-ჰამილტონი | 1.8 | 3.5 | 3.6 | 1.18 | 1.2 | 1.77 |
| 18:00 | 45 | კლაიდი-სენტ-ჯონსტონი | 1.85 | 3.4 | 3.5 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 18:00 | 46 | პარტიკი-რეითი | 1.5 | 3.7 | 5.3 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 18:00 | 47 | ქუინი-სტ.მირენი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 48 | როსი-ფოლკირკი | 3.55 | 3.5 | 1.8 | 1.76 | 1.19 | 1.18 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 49 | ალოა-დამბარტონი | 1.8 | 3.5 | 3.4 | 1.18 | 1.17 | 1.72 |
| 18:00 | 50 | არბროთი-ეარი | 2.85 | 3.5 | 2.05 | 1.57 | 1.19 | 1.29 |
| 18:00 | 51 | ფორფარი-ბერიკი | 1.75 | 3.4 | 3.7 | 1.15 | 1.18 | 1.77 |
| 18:00 | 52 | მორტონი-ბრეჩინი | 2.5 | 3.4 | 2.3 | 1.44 | 1.19 | 1.37 |
| 18:00 | 53 | სტრანრარი-სტირლინგი | 1.6 | 3.7 | 4.2 | 1.11 | 1.15 | 1.96 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 54 | ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი | 4.3 | 3.6 | 1.6 | 1.95 | 1.16 | 1.1 |
| 18:00 | 55 | ელგინი-ალბიონი | 1.7 | 3.6 | 3.8 | 1.15 | 1.17 | 1.84 |
| 18:00 | 56 | გრეტნა-ისტ ფაიფი | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |
| 18:00 | 57 | მონტროუზი-კოუდენბითი | 2.5 | 3.6 | 2.25 | 1.47 | 1.18 | 1.38 |
| 18:00 | 58 | სტენჰაუსმუირი-პიტერჰედი | 6.5 | 4.4 | 1.35 | 2.62 | 1.11 | 1.03 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 59 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 17:30 | 60 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 17:30 | 61 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 17:30 | 62 | არმინია-ჰანოვერი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 17:30 | 63 | დორტმუნდი-გლადბახი | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 17:30 | 64 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 2.9 | 3.2 | 2.3 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 17:30 | 65 | ჰამბურგი-მაინცი | 1.6 | 3.5 | 5.5 | 1.09 | 1.23 | 2.13 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 66 | ჰერტა-ბაიერნი | 2.9 | 3.2 | 2.3 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 19:30 | 67 | ვერდერი-ჰანზა | 1.4 | 3.9 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.56 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

**28 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 69 | კიოლნი-ბურგჰაუზენი | 1.45 | 4.0 | 6.0 | 1.06 | 1.16 | 2.4 |
| 21:00 | 70 | მიუნხენი 1860-აუე | 1.7 | 3.3 | 4.6 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 21:00 | 71 | ესენი-ტრირი | 2.2 | 3.2 | 2.95 | 1.3 | 1.26 | 1.53 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 72 | ზაარბრიუკენი-დუისბურგი | 2.45 | 3.2 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 17:00 | 73 | ობერჰაუზენი-ერფურტი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 17:00 | 74 | ფიურტი-უნტერჰახინგი | 1.55 | 3.6 | 5.3 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 17:00 | 75 | კარლსრუე-აინტრახტი | 2.65 | 3.1 | 2.4 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 17:00 | 76 | ალემანია-ალენი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

**31 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 77 | დინამო-კოტბუსი | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |

### იტალია. სერია A

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 82 | კიევო-ლივორნო | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |
| 22:30 | 85 | პარმა-უდინეზე | 2.5 | 2.9 | 2.9 | 1.34 | 1.34 | 1.45 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 78 | სამპდორია-სიენა | 1.6 | 3.2 | 6.0 | 1.06 | 1.26 | 2.08 |
| 17:00 | 79 | ატალანტა-იუვენტუსი | 7.0 | 3.6 | 1.45 | 2.37 | 1.2 | 1.03 |
| 17:00 | 80 | ბრეშა-ლეჩე | 2.25 | 3.0 | 3.2 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 81 | კალიარი-ფიორენტინა | 2.0 | 3.0 | 3.8 | 1.2 | 1.31 | 1.67 |
| 17:00 | 83 | მილანი-ბოლონია | 1.25 | 4.6 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.15 |
| 22:30 | 84 | პალერმო-ინტერი | 3.3 | 2.9 | 2.2 | 1.54 | 1.32 | 1.25 |
| 17:00 | 86 | რეჯინა-ლაციო | 2.2 | 2.9 | 3.3 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 87 | რომა-მესინა | 1.45 | 3.6 | 7.0 | 1.03 | 1.2 | 2.37 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 118 | ატლეტიკო-ალბასეტე | 1.65 | 3.5 | 5.0 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 23:30 | 124 | სევილია-ბარსელონა | 2.9 | 3.2 | 2.3 | 1.52 | 1.28 | 1.33 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 119 | ესპანიოლი-ბეტისი | 2.1 | 3.1 | 3.35 | 1.25 | 1.29 | 1.61 |
| 19:00 | 120 | მალიორკა-ხეტაფე | 2.15 | 3.3 | 3.1 | 1.3 | 1.26 | 1.59 |
| 21:00 | 121 | ნუმანსია-რეალი | 5.5 | 3.5 | 1.6 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| 19:00 | 122 | ოსასუნა-დეპორტივო | 2.4 | 3.2 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 123 | რასინგი-ლევანტე | 2.15 | 3.3 | 3.1 | 1.3 | 1.26 | 1.59 |
| 19:00 | 125 | სოსიედადი-ვილიარეალი | 2.45 | 3.2 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 23:00 | 126 | ვალენსია-ბილბაო | 1.65 | 3.4 | 5.3 | 1.11 | 1.25 | 2.07 |
| 19:00 | 127 | სარაგოსა-მალაგა | 1.8 | 3.3 | 4.2 | 1.16 | 1.25 | 1.84 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

**26 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 140 | ლიონი-რენი | 1.4 | 3.6 | 8.5 | 1.0 | 1.2 | 2.52 |
| 22:30 | 141 | ნანტი-სტ.ეტიენი | 2.1 | 2.9 | 3.5 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 22:30 | 142 | ნიცა-ლილი | 2.7 | 2.7 | 2.75 | 1.35 | 1.36 | 1.36 |
| 22:30 | 143 | პსჟ-ისტრი | 1.45 | 3.5 | 8.0 | 1.02 | 1.22 | 2.43 |
| 22:30 | 144 | სტრასბური-მონაკო | 3.4 | 3.0 | 2.15 | 1.59 | 1.31 | 1.25 |
| 22:30 | 145 | აიაჩო-ტულუზი | 2.6 | 2.8 | 2.8 | 1.34 | 1.34 | 1.39 |
| 22:30 | 146 | ოსერი-ბასტია | 1.4 | 3.8 | 8.0 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| 22:30 | 147 | ბორდო-მეცი | 1.75 | 2.9 | 5.2 | 1.09 | 1.3 | 1.86 |
| 22:30 | 148 | ლანსი-კაენი | 1.75 | 3.0 | 5.1 | 1.1 | 1.3 | 1.88 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

**26 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 167 | გენგამი-მონპელიე | 2.15 | 2.8 | 3.45 | 1.21 | 1.32 | 1.54 |
| 22:00 | 168 | ნანსი-დიჟონი | 1.6 | 3.1 | 5.8 | 1.05 | 1.25 | 2.02 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 199 | დენ ბოსხი-ალკმაარი | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | |

### პორტუგალია. სუპერლიგა

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 217 | აკადემიკა-ვიმარაეში | 2.5 | 3.2 | 2.6 | 1.4 | 1.27 | 1.43 |
| 23:45 | 221 | მორეირენსე-ბენფიკა | 4.4 | 3.3 | 1.75 | 1.88 | 1.25 | 1.14 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 216 | ეშტორილი-ლეირია | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 218 | ბეირა მარი-ნასიონალი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 219 | ბელენენსეში-რიუ ავე | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 220 | ბოავიშტა-ჟილ ვისენტე | 1.45 | 3.6 | 7.0 | 1.03 | 1.2 | 2.37 |
| 19:00 | 222 | პენაფიელი-მარიტიმუ | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:45 | 223 | პორტუ-ბრაგა | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | **31 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 224 | სპორტინგი-სეტუბალი | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 242 | კონია-გალათასარაი | 4.8 | 3.6 | 1.6 | 2.05 | 1.2 | 1.1 |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 243 | საკარია-გენჩლერბირლიგი | 2.4 | 3.2 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 17:00 | 244 | დიარბაქირი-ისთანბული | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 17:00 | 245 | ანკარაგიუჯიუ-სამსუნი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 20:00 | 246 | ბეშიქთაში-მალათია | 1.5 | 3.7 | 5.75 | 1.06 | 1.18 | 2.25 |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 15:00 | 247 | გაზიანთეფი-დენიზლი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 15:00 | 248 | ტრაბზონი-კაისერი | 1.2 | 5.4 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.5 |
| 15:00 | 249 | ანკარა-სებათი | 1.4 | 4.1 | 6.2 | 1.04 | 1.14 | 2.46 |
| 20:00 | 250 | ფენერბაჰჩე-რიზე | 1.25 | 4.9 | 9.2 | 1.0 | 1.1 | 3.19 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 261 | მანჩესტერი-ჩელსი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 295 | რომა-ფიორენტინა | 1.65 | 3.3 | 4.8 | 1.1 | 1.22 | 1.95 |
| 23:00 | 296 | მილანი-უდინეზე | 1.45 | 3.6 | 6.6 | 1.03 | 1.18 | 2.32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 297 | კალიარი-სამპდორია | 2.2 | 2.9 | 3.2 | 1.25 | 1.13 | 1.52 |
| 23:00 | 298 | ატალანტა-ინტერი | 4.6 | 3.1 | 1.75 | 1.85 | 1.26 | 1.11 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 423 | ნუმანსია-ატლეტიკო | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 23:00 | 424 | სევილია-ოსასუნა | 1.7 | 3.3 | 4.65 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 265 | დენ ჰააგი-ტვენტე | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:00 | 266 | ბრედა-უტრეხტი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:00 | 267 | ოსი-ვალვაიკი | 4.0 | 3.4 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 22:45 | 268 | ალკმაარი-ფეიენოორდი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 269 | აიაქსი-ჰერენვენი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **პორტუგალია. თასი** | | | | | | |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 270 | აკადემიკა-მარიტიმუ | 2.55 | 3.2 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 271 | სეტუბალი-გიმარაეში | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 22:45 | 273 | ბენფიკა-სპორტინგი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 274 | ამადორა-პენაფიელი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 275 | ქსანთი-ეგალეო | 2.05 | 3.0 | 3.4 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 276 | აეკ-პანათინაიკოსი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

## ავსტრალიის ღია პირველობა 2005

მელბურნი. მაგარსაფარი

# ნუ ეძებთ ხინჯს სრულყოფილებაში

## ფედერერისთვის ბრძენიც გლახაკია


როჯერ ფედერერი


მარატ საფინი


მარია შარაპოვა


სერენა უილიამსი

### მეოთხედფინალი

#### ვაჟები

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ანდრე აგასი (8, აშშ) 6:3 6:4 6:4; **მარატ საფინი** (4, რუსეთი) — დომინიკ ჰრბატი (20, სლოვაკეთი) 6:2 6:4 6:2

#### ქალები

**სერენა უილიამსი** (7, აშშ) — ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) 6:2, 6:2; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) 4:6, 6:2, 6:2

**გუშინ** მელბურნში ძალიან ხვატი იდგა და საჩოგნეთაც ისე გადაცხელებულიყო, თუ მეჩოგნეთათვის და თუ მაყურებლისთვის ძლივს გაიძლებოდა. თუმცა საკუთრივ ბურთაობა მაინცდამაინც ფიცხელი და ხანგრძლივი არ გამოდგა და შარაპოვა — კუზნეცოვას შიდარუსული შეხვედრის გარდა სამივე მატჩი — მეოთხედფინალობის კვალობაზე — საკმაოდ მალმალე მოითავდა.

ყველანი რომ ფედერერისა და აგასის უშეღავათო განდაგანს ველოდით, არ მოგვერთვა და ამქრის პირველსანმა ტურნირის ოთხგზის ჩემპიონი 34 წლის არმენოამერიკელი 99 წუთში დაიმორჩილა. ვინმემ რომ თქვას, შებერებული ჩემპიონი ურიგოდ გაირჯა და თავის თავს არ ჰგავდაო, სწორი ნაღდად არ იქნება — აგასის კვლავაც დიდებული სანახავი გახლდათ და მომენტებში მეტოქეზე უფრო ჩასხრადაც ირჯებოდა. მაგრამ ერთი ეგ იყო, რომ თავად ერთხელაც ვერ შეძლო, მეტოქის მიერ მისთვის უიშვიათესად ბოძებული რომელიმე შანსი გამოეყენებინა, ფედერერი კი მის ხელში ჩავარდნილ ყველა შანსს აქულიანებდა და სამივე სეტში, როგორც კი ხელსაყრელი მომენტი დგებოდა, აგასის მოწოდებას ჰგლეჯდა. მეორეც იყო და ფედერერს არაჩვეულებრივი მოწოდება აქვს და სწორედ ამის წყალობით იყო, თავისი გეიმებისას აგასის საჩოგნეზე ასე ძვირად რომ იკარებდა. მისი 23 ეისის წილ არმენოამერიკელმა მხოლოდ ერთხელ მოახერხა, შვეიცარიელის წილი კორტი გამჭოლი მოწოდებით გაეშოლტა. სულ ბოლოცაა და ამქრის უსტაბაშს ახლა ისეთი ფარაონული თავდაჯერებულობა აქვს, რომ მის გასატეხად რაღაც უფრო მეტია საჭირო, ვიდრე ანდრე აგასის სიბრძნე და დახვეწილობა.

დღეს ფანტასტიკური, სრულყოფილი მატჩი მქონდაო, იძახდა მერე ფედერერი და — აგასის ასე დასტურ დასამარცხებლად მართლაც კარგად უნდა გავრჯილიყავიო — დასძენდა. აგასი კი გულდაწყვეტილობდა — აქ იმდენი დასამახსოვრებელი დღე გამიტარებია, დღესაც ეგ მინდოდა, კიდევ ერთი კარგი საღამო შემემარაგებინა, მაგრამ, ვაგლახ, ახლა ერთი სული მაქვს, ამ დღეს რამე დამავიწყებდესო. „რაც შეეხება როჯერს, ის მართლაც ზღაპრულად თამაშობს და მილეთი რომ მისგან ყველა დროის ერთ უდიადეს მეჩოგნედ ქცევას მოელის, ალბათ ალარავის გაუკვირდება“ — ამბობდა ბოლოს. თავის სამომავლო გეგმებზე კი მაინცდამაინც არ დაწვრილმანებულა და, ვინძლო, მართალიც იყო — გუშინ ნაჩვენები ბურთაობით მან ეგებ ფედერერის შემუსვრა ვერ შეძლოს, მაგრამ წლის განმავლობაში სხვა ბევრ, თუნდ ზეპურ მეჩოგნეს კი გაამწარებს.

სხვაფრივ — ფედერერისთვის მოწყვლადი ქუსლის პოვნასა და შარშანდელ ფინალში ნაწვნევი მარცხის გამო მასზე ჯავრის ყრას ნახევარფინალში რუსგოლიათი მარატ საფინი ეცდება. ტურნირის ორგზის ფინალისტმა რუსმა გუშინ სახურავქვეშ ზუსტად საათნახევარში მოდრიკა წინა წრეებში გასტონ გაუდიოსა და ტომას იოჰანსონის მაოტარი დომინიკ ჰრბატი. მისი უპირატესობა აშკარა იყო და ამის საბუთად მის მიერ სუფთად მოგებული 33 ქულაც იკმარებს. დავსძინოთ ისიც, რომ გამრჯე სლოვაკს ის უკვე მეცამეტედ ერკინა და მეშვიდეჯერ დაამარცხა. მომავალი მეტოქის შესახებ კი ის გუშინ ასეთ რამეს ამბობდა: „ის, თუ როგორ უნდა ითამაშო მის წინააღმდეგ, თითქმის ყველამ ზედმიწევნით იცის, მაგრამ სამ სეტზე მეტხანს მას მაინც ვერავინ უძლებს.“

თვითონ გაუძლებს რო?!

ახლა ქალებზეც: აქ თანაბარ ბრძოლას არა მხოლოდ რუსგოგონებს, არამედ სერენასა და მორესმოს შორისაც ველოდით, მაგრამ საშინელი სიცხის ბრალი იყო თუ ხელის მტკივანი კუნთის, ლონიერი ფრანგი თავის აჩრდილსაც არ ჰგავდა, უმცროსი უილიამსდა კი ისე მშვიდად და უშეცდომოდ ბურთაობდა, მისგან ბოლოჯერ 18 თვის წინ, უიმბლდონობისას, მის მიერ მოგებულ უკანასკნელ სლემტურნირზე რომ ვიხილეთ. ამქრის მეორეადგილოსანსა და წინა სეზონის განმავლობაში საუცხოოდ გარჯილ მორესმოს სერენამ მართლაც ძალზედ იოლად აჯობა, იმდენად, რომ — თაკაროსნობის მიუხედავად — თავისი დუნდულოსანი გარდერობი ფაიფურა ოფლითაც არ მოსცვარვია. ნამატჩევს ის კვლავინდებურად ბევრს ბაქი-ბუქობდა და, როცა შარაპოვასთან შარშან წაგებული უიმბლდონური ფინალი მოაგონეს, მაშინ მეტისმეტად ვნერვიულობდი, არც ძალა შემეძლო, არც სუნთქვა, ახლა კი ყველაფერი ჩინებულად მაქვსო, პასუხობდა.

შარაპოვამ და მისმა მისდარად სლემტიტულოსანმა თვისტომმა კუზნეცოვამ კი გუშინ მეტად უცნაურად ითამაშეს — პირველ სეტში მაშას არაფერი გამოსდიოდა, სვეტას კი — ყველაფერი, ამის მერე კი უიმბლდონის დედოფალი მლევგიანად აჩოგნავდა, აშშ-ის ღია პირველოსანს კი ჩოგანი აუკანკალდა. ხოლო როცა გიკანკალებს, მაშინ კარგს არაფერს უნდა ელოდო. ამგვარად — რუსთა დივიზიიდან ზედიზედ მეოთხე სლემტიტულის მოხვეჭას 17 წლის ლერწამგოგონა ეცდება.

**ლევან ძელაურაძე**

# ლეიტონს გამოვნება გამონაცვლება



**ფლევანდელ** ავსტრალიობაზე ზეპურ მეჩოგნეთა ამჟამინდელ ფორმასთან ერთად ისიც გაირკვა, თუ რატომ დასცილდნენ ასე მოულოდნელად ერთმანეთს ლეიტონ ჰიუიტი და მისი უბუთქუნესი ბელგიელი საცოლე კიმ კლაისტერსი. საქმე ისა ყოფილა, რომ კისკას ოზმეჩოგნეს უბრალოდ უფრო მომხიბლავი და კენარი საყვარელი გაუჩენია.

შეგახსენებთ, რომ ლეიტონი და კიმი ჯვრისწერას სწორედ ნაავსტრალიევს აპირებდნენ, მაგრამ შარშან ოქტომბერში გამოაშკარავდა, რომ ისინი ერთმანეთს მავანი პირადი მოტივების გამო დაშორდნენ.

არადა, ისინი ერთმანეთს 2000 წლიდან ეტრფოდნენ. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ჰიუიტმა კიმი ავსტრალიელი ჯადოქეჩოგნის პატრიკ რაფტერის მიერ მოწყობილ საღამოზე მიიწვია. მას შემდეგ მათი ურთიერთობა ღრმავდებოდა და 2003 წლის დეკემბერში ბიჭმა გოგოს მისი ღონიერი ხელიც თხოვა. როგორც კიმი ჰყვებოდა, ეს ნავით გასეირნებისას მომხდარა, სადაც ლეიტონს მისთვის უეცრად საყურეები და ბეჭედი გაუჩითავს და შევუღლდეთო, უაჯია.

როცა ოქტომბერში ზემოთხსენებული მოულოდნელობა შეიტყო, მთელი საჩოგბურთო მილეთი მათი უეცარი განშორების მიზეზებზე ამკითხავდა. მაგრამ ამ კვირებამდე სარწმუნო პასუხი ეგრეც არ ჩანდა. ახლა კი უკვე ყველაფერი ნათელია — ლეიტონის მიერ კიმის განებაში დამნაშავე ავსტრალიელი მოდელი და დამწყები მსახიობი ბეკი კარტრაიტი ყოფილა. ის ლეიტონს ტრიბუნიდან ქომაგობს ხოლმე და ესეც ყოველი მოგებული ქულის მერე მას ხელის გაშვერით ელოლიხოტება.

ლეიტონის ახლობლები ჰყვებიან, რომ ბიჭს ბეკი უმძლავრესად უყვარს. ის გადასარევია — ეუბნება მათ თურმე მეჩოგნე — ლამაზია, ჭკვიანი და თანაც ისეთი ფეხები და მკერდი აქვს, მათთან ლაციცის მეტი არაფერი მინდაო.“

# სტუ-ს გასტროლები გრძელდება
## ტექნიკოსები ფიბას გეგმავენ

**საზღვარგარეთული შეკრება ქართული კლუბებისთვის ძალიან ფუფუნებად ითვლება, თუმც ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი კომპანია „ჯეოსელს“ დახმარებით ამას ამ სეზონში უკვე მეორედ ახერხებს. სტუ სექტემბერში სირიაში იმყოფებოდა, სადაც საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, ხოლო ერთ კვირაში ტექნიკოსთა გუნდი ირანის გზას დაადგება. სპარსეთის დედაქალაქი ძალზე სერიოზულ საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს, რომელშიც ირანში მოთამაშე ლეგიონერთა ქვეყნების გუნდები გამოვლენ. არადა, სპარსულ ჩემპიონატში რა ეროვნების კალათბურთელს არ ნახავთ — რუსებს, უკრაინელებს, სერბებს, ფრანგებს, ამერიკელებს და, რა თქმა უნდა, ქართველებს...**



— ახლა მოვდივარ ირანის საელჩოდან. თითქმის ყველაფერი მოგვარებულია, ორ თებერვალს მივემგზავრებით, — გვეუბნება ტექნიკოსთა თავკაცი ნუგზარ ჭეიშვილი.

**— ეს თქვენი მეორე საერთაშორისო შეკრებაა ამ სეზონში. ჩანს, გუნდის ხელმძღვანელობა გწყალობთ...**

— საბედნიეროდ, მაგ მხრივ ყველაფერი რიგზეა და ხელმძღვანელებთანაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. როგორც იცით, ჩვენს გუნდს ტექნიკური უნივერსიტეტი და კომპანია „ჯეოსელი“ პატრონობს, რომლებმაც არც ამჯერად გვითხრეს უარი საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე.

**— რამდენად სერიოზული ტურნირია?**

— ირანში გადაწყვიტეს იმ ქვეყნებიდან მოეწვიათ გუნდები, რომელთა წარმომადგენლებიც მათ ჩემპიონატში თამაშობენ. ტურნირი სანაკრებო დონისაა, მაგრამ ისეთი ქვეყნები, როგორებიც რუსეთი, საფრანგეთი, უკრაინა და ამერიკაა, ცხადია, ეროვნული გუნდით არ ჩავლენ თეირანში. თუმც სირია, ლიბანი და რამდენიმე აზიური ქვეყანა სავარაუდოდ ნაკრებს ჩაიყვანენ ირანში.

— საქართველოდან „სტუ-ჯეოსელი“ მონაწილეობს ამ ტურნირში.

**— მზად ხართ ტურნირისთვის, ვინმე ხომ არ დაგემატათ?**

— ჯერჯერობით არავინ შეგვმატებია, პირიქით, ალეკო დავითულიანმა დაგვტოვა. ის, მოგეხსენებათ, ტრავმებმა გატანჯა და ერთ მატჩს რომ ითამაშებდა, მერე ორი თვე ისვენებდა. ბოლო ორ წელიწადში დავითულიანს ჰა, ჰა, 15 შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული. ჰოდა, გადაწყვიტა, თამაშისთვის თავი დაენებებინა.

**— მერე ასეთ სერიოზულ ტურნირზე არ გაგიჭირდებათ?**

— მთავარი ხომ საერთაშორისო გამოცდილების მიღებაა, თუმც ვინ თქვა, რომ არავინ დაგვემატება. უკვე შეთანხმებულია, რომ ირანში მოთამაშე ქართველები დაგვეხმარებიან. კოტე ტუღუშისა და ვაკო ბეჟანიშვილის გუნდი წინააღმდეგი არაა, ეს მოთამაშეები თეირანის ტურნირისთვის დაგვითმოს. ასევე გადაწყვეტილია ვახტანგ მინაშვილის ჩვენთან თამაშიც.

**— თეირანის ჩემპიონატი მალე დასრულდება და იქაური მოთამაშეები თავისუფლები იქნებიან. მათ გადმოყვანას ხომ არ აპირებთ?**

— არაა გამორიცხული. ჩვენ, რა თქმა უნდა, გუნდის გაძლიერებაზე ვზრუნავთ და იქნებ ირანში სხვა უცხოელი მოთამაშეებიც შევიგულოთ. მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

**— გაძლიერება რომ გჭირდებათ, საქართველოს თასის რუსთავულმა ეტაპმაც გამოაჩინა, სადაც ფავორიტი „სტუ-ჯეოსელი“ ორჯერ დამარცხდა...**

— მე მაგ მარცხს ტრაგედიად არ აღვიქვამ, რადგან თასის პირველ ეტაპს ინტრიგა არ ჰქონდა. რა აზრი ჰქონდა, რომელ ადგილზე გავიდოდით, „დინამოს“ უარის შემდეგ ოთხკა[illegible] გაინალდა ნახე[illegible] ამიტომაც ჩვენ ექსპერიმენტებს მივმართეთ, ახალგაზრდებს მივეცით თამაშის საშუალება და ის ორი წაგებაც ამის ბრალია. სხვათა შორის, მეტეკაში თამაშით კმაყოფილი ვარ, სამივე შეხვედრაში თითქმის ასი ქულა მოვიპოვეთ. 100, თუნდაც 90 ქულას რომ იხვეჭ, ის მატჩი არ უნდა წააგო, მაგრამ დაცვაში ვერ ვივარგეთ და ახლა ამ რგოლის გასაძლიერებლად ვიზრუნებთ.

**— ირანში მიდიხართ და აქაური ჩემპიონატი?**

— კალათბურთის ფედერაცია გარკვეულია საქმის ვითარებაში და თამაშების გადატანაზე უარს არ გვეტყვის. ვფიქრობ, როცა უცხოური შეკრების ვარიანტია, აქაური მატჩების გადადების პრობლემები არ უნდა შეიქმნას. თეირანის ტურნირი 4-12 თებერვალს გაიმართება და ამ პერიოდში ალბათ ორი აქაური მატჩი გაგვიცდება.

**— ესე იგი, „სტუ-ჯეოსელს“ ყველაზე მეტი საერთაშორისო გამოცდილება ექნება...**

— ასე გამოდის და არც იმას გამოვრიცხავ, მომავალ სეზონში ფიბა-ს რომელიმე ტურნირში ვითამაშოთ. ვიცი, რომ საამისოდ სოლიდური გუნდის შექმნა დაგვჭირდება და თუ საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რამდენიმე ლეგიონერს დავიმატებთ. თუმც გუნდის ძირითადი ბირთვის დაკომპლექტებას საქართველოში მოთამაშე კალათბურთელებით ვაპირებთ. აი, ისე, როგორც ადრე იყო — „კიეა“ რომ იმატებდა სხვა ქართული გუნდების გამორჩეულ მოთამაშეებს.

**ირაკლი პერტაია**

# ლენის დღენი წასულან
## ყველაზე, ყველაზე მღვრთნელი



**წასვლის** დროც დადგა. კიდევ ერთი მარცხის შემდეგ ლენი ვილკენსმა, ჭეშმარიტად დიდმა მწვრთნელმა თქვა: „საკმარისია, მე წავედი... ეს ძალიან მძიმეა ჩემთვის, თუნდაც იმიტომ, რომ ნამდვილად მინდოდა, „ნიუ იორკს“ დავხმარებოდი და ელიტაში დამებრუნებინა, მაგრამ, ვითარებიდან გამომდინარე, ეს ნაბიჯი უნდა გადავდგა.“

67 წლის ლენი ვილკენსი ამ უქმეებზე გადადგა „ნიუ იორკ ნიქსის“ თავკაცის პოსტიდან და იქნებ არც არასოდეს დაუბრუნდეს იმ საქმეს, რომელშიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მისი გაცილება ნამდვილად ვგების.

ბოლო წლებში არცთუ კარგად მისდიოდა საქმეები. მისი გუნდები უფრო აგებდნენ, ვიდრე იგებდნენ, მაგრამ ამის მიზეზად ვილკენსის ასაკოვნება არავის დაუსახელებია. ლენიმ ამ საშარო და ხშირად უმადურ საქმეს ჯერ კიდევ მაშინ მოჰკიდა ხელი, როცა აქტიური მოთამაშე იყო — 70-იან წლებში მოედანზე სირბილს თანაგუნდელთა გაწვრთნას უთავსებდა და ორივე საქმე მშვენივრად გამოსდიოდა. ის ორჯერ აირჩიეს კალათბურთის დიდების დარბაზში — 1988 წელს, როგორც ლეგენდარული მოთამაშე და 1998 წელს, უკვე როგორც დიდი მწვრთნელი. მის გარდა მხოლოდ ერთ კაცს, ჯონ ვუდენს რგებია ეს პატივი.

შედარებით ახალგაზრდა თაობა მას მწვრთნელად უფრო იცნობს, ვიდრე მოთამაშედ. მხოლოდ ძველ ქომაგებს თუ ახსოვთ მისი ჯადობურთაობა 60-იან წლებში. 186-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი მაშინ გოლიათებს — უილტ ჩემბერლენსა და ბილ რასელს სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდებას ეცილებოდა. 1969 წელს 32 წლისას „სიეტლის“ მოთამაშე-მწვრთნელობა რომ შესთავაზეს, ვილკენსს ექვსი ოლ სტარი ჰქონდა მოლეული.

„თავიდან მათ უარი ვუთხარი, რა დროს ჩემი მწვრთნელობაა-მეთქი. შემდეგ ისევ უარი, შემდეგ ისევ... ჩვენ თითქოს ერთ ადგილს ვტკეპნიდით, ბოლოს კი ვიფიქრე, ჯანდაბას, რას ვკარგავ-მეთქი და დავთანხმდი. მინდოდა, უბრალოდ მეცადა, რა გამომივიდოდა, რადგან, როგორც მახსოვს, მთელი ჩემი სათამაშო კარიერის განმავლობაში ყველასგან ჩამესმოდა ის აზრი, რომ მოედანზე მწვრთნელივით ვმოქმედებდი და ჩემგან კარგი დამრიგებელი გამოვიდოდა.“

სცადა და ამ საქმეს ლამის 35 წელი მისდევდა. „ლეიკერსს“ და „სელტიქსს“ არასოდეს მოუწვევიათ. ძირითადად საშუალო გუნდები უხმობდნენ და ისიც არც თავს ირცხვენდა და არც შეგირდებს. 1979 წელს მან საშუალოზე საშუალო „სიეტლი“ აჩემპიონა, 80-90-იანი წლების მიჯნაზე „კლივლენდი“ ჯორდანის „ჩიკაგოსთან“ აომა, შემდეგ კი „ატლანტასაც“ წაახმარა ჭკუა-გონება.

ტიტულები და დაფასება მოგვიანებით მოვიდა, როცა ვილკენსმა ძალიან ბევრი თამაში წააგო და უფრო მეტი მოიგო. 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადისთვის გამზადებული „ოცნების გუნდის“ თავკაცის ჩაკ დეილის ასისტენტობა შესთავაზეს, ოთხი წლის შემდეგ ატლანტის თამაშებზე მთავარი მწვრთნელობა უბოძეს, 1994-ში სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს, 1996-ში ნბა-ს 50 წლის თავზე კი ასოციაციის ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშესა და 10 ყველაზე წარმატებულ მწვრთნელს შორის შეიყვანეს.

ტიტულები ტიტულებად, მაგრამ ლენი ვილკენსი უფრო სხვა მიღწევებითაა განთქმული: 1995 წლის 6 იანვარს, თავისი სამწვრთნელო კარიერის 22-ე სეზონში, მისმა „ატლანტა ჰოქსმა“ 112:90 დაამარცხა „ვაშინგტონ ბულიტსი“. ეს გამარჯვება რიგით 939-ე იყო და ამით ვილკენსმა ლეგენდარულ რედ აუერბახს გადაასწრო.

„რედი ლეგენდაა. როცა მე მწვრთნელობას ვიწყებდი, აუერბახი ყველასთვის სამაგალითო იყო, მისი რეკორდი — 938 გამარჯვება კი ყველას ფეხმძიმედამ მწვერვალად ეჩვენებოდა. იმ დღეს მე საოცრად ამაყი ვიყავი, როცა მას გადავასწარი. საგანგებოდ შემზადებული სიგარა ამოვიღე და რედის საპატივცემულოდ გავაბოლე.“

ლენი ვილკენსის მთავარი მიღწევაც ესაა, მას სულ 1332 მოგება და 1155 წაგება დაუგროვდა. ეს ორივე მაჩვენებელი უნიკალურია ნბა-ს ისტორიაში და ალბათ მრავალი წელიწადი გაივლის, სანამ რომელიმეს დაკარგავს.

**კოტე ყორშია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 24 იანვარი —

**მინესოტა 86:83 დეტროიტი**
მინესოტა: გარნეტი (22)
დეტროიტი: ბილაფსი (22)

**კლივლენდი 97:106 ვაშინგტონი**
კლივლენდი: ჯეიმსი (31 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), გუდენი (17 ქულა, 10 მოხსნა)
ვაშინგტონი: არენასი (30)

**ფილადელფია 106:98 მაიამი**
ფილადელფია: აივერსონი (45 ქულა, 11 პასი), დალემბერტი (16 ქულა, 11 მოხსნა)
მაიამი: ონილი (24), ვეიდი (17 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა)

**ატლანტა 82:107 ჩიკაგო**
ატლანტა: ჰარინგტონი (18)
ჩიკაგო: კარი (19), ჰარინგტონი (18)

**ჰიუსტონი 89:78 ორლანდო**
ჰიუსტონი: მინგი (22 ქულა, 10 მოხსნა)
ორლანდო: ფრენსისი (23)

**კლიპერსი 97:87 დალასი**
კლიპერსი: ბრენდი (23), საიმონსი (21)
დალასი: ნოვიცკი (22), სტეკჰაუზი (18)

**პორტლენდი 107:99 სან ანტონიო**
პორტლენდი: სტუდემაიერი (23)
სან ანტონიო: დანკანი (24), პარკერი (20), ბრაუნი (20)



# აფრიკაში მერე გავფრინდებით

## ჯერ პორტუგალია ჩავსვათ გალიაში

5 თებერვალს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ევროპის ერთა თასის მეორე ტურში შარშანდელ ჩემპიონს, პორტუგალიას ლისაბონში ესტუმრება. იქამდე დავით ჩავლეიშვილისა და მალხაზ ჭეიშვილის გუნდი - საფრანგეთში ათდღიან შეკრებას გაივლის. საქართველოსა და რუსეთის ჩემპიონატში მობურთავე ბორჯღალოსნები მწვრთნელებმა ორი კვირის წინ შეკრიბეს და ვაკეში მდებარე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მოედანზე ავარჯიშეს. ცხრა მათგანი საპორტუგალიე განაცხადში შეიყვანეს და ნუხელ ტულუზში იახლეს. გუშინ დავით ჩავლეიშვილი ერთა თასის მომავალი შეხვედრის გარდა ნაკრების საგაზაფხულო გეგმაზეც გველაპარაკა და საბოლოო 22-კაცა შემადგენლობაც გაგვიმხილა



დავით ჩავლეიშვილი

— ნაკრების თბილისში მყოფი კანდიდატები პორტუგალიური მატჩისთვის მოსამზადებლად 10 იანვარს შევკრიბეთ და ნაყოფიერადაც ვიმუშავეთ. თამამად შეგვეძლო, ლისაბონში თამაშის შანსი ყველასთვის მიგვეცა, მაგრამ ბოლოს მაინც ცხრა შევარჩიეთ. დანარჩენ ცამეტ ადგილს ლეგიონერები შეავსებენ.

**— ლეგიონერები ტულუზში დაგხვდებიან?**

— არა, ჩვენი ჩასვლის შემდეგ ნელ-ნელა შემოგვიერთდებიან. 27-28 იანვარს ალბათ უკვე სრული შემადგენლობაც შეიკრიბება და გადამწყვეტ ვარჯიშებს ყველა ერთად შევუდგებით.

**— თუ საიდუმლო არ არის, რის ხარჯზე აპირებთ პორტუგალიელთა ნაკრების დამარცხებას?**

— ერთა თასის მფლობელებს კარგად ვიცნობთ და ვიცით, რომ მათ მოსაგებად პირველ რიგში ორგანიზებულად თამაში დაგვჭირდება. ტულუზში გუნდი მაქსიმალურად უნდა შევკრათ, ხელით თამაში კიდევ უფრო დავხვეწოთ და გამარჯვებაც მოვა.

**— ალბათ შარშანდელი თბილისური თამაშის ვიდეოჩანაწერსაც ჩაუსხდებოდით...**

— ის თამაში უკვე არაერთხელ ვნახეთ და სრულიად დავრწმუნდით, რომ სტუმრებმა სწორედ ორგანიზებულობით გვაჯობეს. თუმც მაშინ გამოცდილება გვაკლდა, ახლა კი ძლიერი ლეგიონერებიც გვეყოლება.

**— პორტუგალიური მატჩის შემდეგ ნაკრები სამხრეთაფრიკულ შეკრებაზე უნდა წასულიყო, მაგრამ გავიგეთ, გეგმა შეგიცვლიათ. პრეტორიელებმა ხომ არ გვიგანეს?**

— არა, ეს შეკრება ჩვენივე ინიციატივით სავარაუდოდ მაისისთვის გადაიდო. გვინდა, ერთა თასის მნიშვნელოვანი თამაშები ჩავამთავროთ, თან ახლა ლეგიონერების უმეტესობა დაკავებულია და უძლიერესი შემადგენლობის წაყვანას მაინც ვერ ვახერხებდით.

**— პორტუგალიის შემდეგ სამ კვირაში უკრაინას ვმასპინძლობთ და აფრიკული შეკრებაც ამ თამაშისთვის მოსამზადებლად უნდა გამოგვეყენებინა. ახლა როგორ იქნება?**

— 26 თებერვლის შეხვედრის წინ ნაკრები ალბათ თბილისში შეიკრიბება, თუმც მატჩამდე რამდენი დღით ადრე, ჯერ ვერ გეტყვით.

**— მარტისთვის დაგეგმილი ტრაპიზონული შეკრებაც ხომ არ ჩაიშალა?**

— თურქული შეკრების ორგანიზებაზე, როგორც ვიცი, მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. აქედან გამომდინარე, მასზე გადაჭრით საუბარიც ნაადრევია.

**— საპორტუგალიე ოცდაორი ადრევე დაასახელეთ. რამე ხომ არ შეცვლილა?**

— ორი მორაგბის შეცვლა მოგვიხდა. ტრავმირებული პალიკო ჯიმშელაძისა და დავით ზერაქაშვილის ნაცვლად ტულუზში გიორგი კაჭარავა და მიხეილ სუჯაშვილი მოემზადებიან.

**— პორტუგალიაში მოგების შემთხვევაში კავშირი პრემიებს ხომ არ გპირდებათ?**

— ამაზე საუბარი არც ყოფილა. რუსეთის ნაკრების დამარცხებისთვის დაწესებული პრემიების შესახებაც მატჩის მერე შევიტყვეთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

შერკინება

მამუკა მაგრაქველიძე
გოდერძი შველიძე
მიხეილ სუჯაშვილი
დავით ხინჩაგაშვილი
აქვსენტი გიორგაძე
ილო ზედგინიძე
მამუკა გორგოძე
ვიქტორ დიდებულიძე
რატი ურუშაძე
ზვიად მაისურაძე
ბესიკ უდესიანი
ზურაბ მჭედლიშვილი

უკანა ხაზი

ირაკლი აბუსერიძე
გიორგი კაჭარავა
დავით კიკნაძე
თედო ზიბზიბაძე
ირაკლი გიორგაძე
მალხაზ ურჯუკაშვილი
ირაკლი მაჩხანელი
ლექსო გუგავა
ბესიკ ხამაშურიძე
ოთარ ბარკალაია

# დინამოს შტატი გაზარდა

**გუშინ** სპორტსაზოგადოება „დინამოს" ოფისში ხელშეკრულებების გაფორმების დღე იყო. ასზე მეტი ვეტერანი, მოქმედი სპორტსმენი და მწვრთნელი დინამოელი გახდა. მათვე პირველი ხელფასიც მიიღეს.

სპორტსაზოგადოების თავკაცმა გოჩა ძასოხოვმა ფინანსური დახმარების შესახებ სიტყვა ჯერ კიდევ შარშან, „დინამოს" პრეზენტაციაზე ჩამოაგდო, მასმედიასთან წლევანდელი პირველი შეხვედრა კი უკვე გაწეული სამუშაოს ერთგვარი ანგარიში აღმოჩნდა.

„ეს არის დახმარებები, რომლებიც სისტემატური იქნება. 30-მდე ვეტერანი, 50-მდე სპორტსმენი და 10-მდე მწვრთნელი ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ყოველთვიურ ხელფასს მიიღებს" — გვითხრა ძასოხოვმა და იქვე დასძინა — საქმე სპორტთან გვაქვს და არ იქნებოდა, აზარტულობაზეც არ გვეფიქრა, მოქმედი სპორტსმენები სამ კატეგორიად დავყავით. პირველ კატეგორიაში მოხვედრილებს 300-ლარიანი ხელფასი ექნებათ, მეორეში — 200, ხოლო მესამეში — 100.

ითქვა, რომ „დინამო" არასამთავრობო ორგანიზაციაა და დამოუკიდებლად მოქმედებს. თანხებიც მთლიანად კერძო შემოწირულობებიდან გაიცემა და სახელმწიფოს არავინ არაფერს სთხოვს. იდეაში „დინამოს" აღორძინების ფონდის დაარსებაც ყოფილა, რომელმაც სპორტის აღმავლობას ხელი უფრო მეტად უნდა შეუწყოს.

პირველი ნაბიჯი გადაიდგა, ხელშეკრულებები გაფორმდა. ახლა დინამოელები „სტადიონის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დარბაზების გარემონტებას და ამუშავებას გეგმავენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

მძლეოსნობა

# ჩადრებში ჩქარა

## მარიამ ქევხიშვილმა ისლამური ოქრო დაიმშვენა

**ამჟამად** თეირანში აზიის ქვეყნებისა და ისლამური დედაქალაქების ქალთა თამაშებია გახურებული და, მასში საქართველოდან წარგზავნილი მანდილოსნებიც მონაწილეობენ.

სად ისლამი, სად აზია და სად საქართველო? კითხულობდა „სარბიელი" გუშინ, როდესაც სააგენტო „როიტერის" მიერ გავრცელებულ ამ ტურნირის გახსნის ცერემონიალის ფოტოზე საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა აღმოაჩინა. ნუ გაგიკვირდებათ და, თურმე საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას საერთაშორისო გამოცდილების მისაღებად საგანგებოდ შეუგულებია ირანი, რაკი ევროპაში გამგზავრება ძვირი ჯდება, სპორტის დეპარტამენტი კი დაფინანსებაზე ვერ დაიყოლიეს.

ამიტომაც იყო, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში რომ არაფერი იცოდნენ თეირანში საქართველოს წარგზავნილებზე და სანამ ამ ამბავმა ირანში გურჯისტანის საელჩოს დახმარებით ჩვენამდე მოაღწია, ბირთვის მტყორცნელმა მარიამ ქევხიშვილმა ოქროს მედალი მოიგო. მის გარდა, თეირანში საქართველოს საუკეთესო სამხტომელი იულია დუბინაც იმყოფება, რომელიც შეჯიბრში დღეს ჩაერთვება.

თეირანშია მესამე ჩვენიანიც, ბირთვის მტყორცნელი მამუკა ტულუში, რომელიც 6 თებერვალს ელოდება, რათა კაცთა ასეთივე აზიაურ-ისლამურ თამაშებში სცადოს ბედი.

საკუთრივ ქალთა თამაშებში აზიის 17 ქვეყანა მონაწილეობს, რომელთა შორის ჩვენი მეზობელი სომხეთიცაა. ასევე არიან ქალები ერაყიდან, არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან, ომანიდან, სირიიდან, უშორესი ტაილანდიდან და სხვა ღრმა აზიური ქვეყნებიდან.

საინტერესო ისაა, რომ თამაშებს თვალს ვერ ადევნებენ მამაკაცები. ერთადერთი სახეობა, სადაც კაცებს ტრიბუნაზე უშვებენ, ტყვიის სროლაა, რაკი მისი არსი მამაკაცურია, ხოლო მონაწილეებს ჩადრები ჰფარავთ.

**ირაკლი პერტაია**



იულია დუბინა

ხელბურთი

**მსოფლიოს XIX ჩემპიონატი. ვაჟები**

**ტუნისი. 23 იანვარი - 6 თებერვალი**

**C ჯგუფი**

ესპანეთი 51:19 ავსტრალია
ხორვატია 34:25 იაპონია
შვედეთი 30:23 არგენტინა

**D ჯგუფი**

ეგვიპტე 24:22 სერბეთი
გერმანია 30:23 ბრაზილია
ნორვეგია 33:22 ყატარი

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 92:41 | 5 |
| შვედეთი | 2 | 0 | 0 | 79:39 | 4 |
| ხორვატია | 2 | 0 | 0 | 70:48 | 4 |
| არგენტინა | 0 | 0 | 2 | 46:66 | 0 |
| იაპონია | 0 | 0 | 2 | 47:75 | 0 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 2 | 35:100 | 0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 67:34 | 4 |
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 58:48 | 4 |
| სერბეთი | 1 | 0 | 1 | 56:50 | 2 |
| ეგვიპტე | 1 | 0 | 1 | 49:50 | 2 |
| ყატარი | 0 | 0 | 2 | 48:67 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 0 | 2 | 35:64 | 0 |

# ცეცხლი და ყინული ერთად

*საფორმულო ჩინ-მედლებით მეორე საჯინიბო (ცხადია, „ფერარის" შემდეგ) თავის მე-40 სეზონს ახალი ბოლიდით და სანახევროდ შეცვლილი სამძღოლო შემადგენლობით ხვდება. შარშანწინდელ ვიცე-ჩემპიონ კიმი რაიკონენს „უილიამსიდან" მოსული ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი ხუან პაბლო მონტოია შეუწყვილეს, რის გამოც დევიდ კულტჰარდს „მაკებიდან" აბარგება მოუხდა.*

### ახალი ტანდემი

„სკუდერიის" შუმახერ-ბარიკელოს სუპერ-წყვილის შემდეგ „სამეფო რბოლების" ოცკაცა ქარავანში ყველაზე მრისხანე ძალა იქნება და სამწლიანი ჩაფლავების შემდეგ „ვერცხლის ისრებმა" იქნებ მომავალ ჩემპიონატში მაინც შეძლონ „წითელ ეშმაკებთან" ღირსეულად შებრძოლება. ეგაა, ბევრი იქნება დამოკიდებული ამბიციამოჭარბებული მრბოლების ურთიერთობაზე, რომელთა დამოკიდებულებას ულრუბლო ნამდვილად არ ეთქმის და აკი ერთიორჯერ უკვე გაკრეს კიდეც ერთმანეთს კბილი მედიის წინაშე.

„მე არაერთხელ მქონია მწვავე ბრძოლა კიმისთან, როცა „უილიამსში" გამოვდიოდი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ახლაც, პარტნიორობის მიუხედავად, ჩვენი მეტოქეობა არანაკლებ ცხელი იქნება — დიდ გულზეა ხუანი — და ეს მხოლოდ წაადგება გუნდის შედეგებს ჩემპიონატში."

„ყინულის კაცი" კიმი უფრო ფრთხილობს: „სინამდვილეში ჩვენ საკმაოდ ვეწყობით ერთმანეთს. მელბურნში პირველი საერთო რბოლის შემდეგ ალბათ რაღაც-რაღაცეების გადახედვა მოგვიწევს, რომ გავერკვეთ, მომავალში როგორ ვიცხოვროთ, თუმც ამაში განსაკუთრებულ პრობლემას ვერ ვხედავ."

„მაკლარენის" ბოსი რონ დენისი: „დარწმუნებული ვარ, მცირე გართულებებს თავიდან ვერ ავიცილებთ, მაგრამ, ვიმედოვნებ, ჩემი გუნდის პილოტების ურთიერთობა კონსტრუქციული იქნება. ეს ბიჭები დაღვინებულები არიან, რომ ერთმანეთში არ იჩხუბონ და მინდა, ისინი უფრო მოკავშირეები გახდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგეები."

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა ამასთან დაკავშირებით დიდი ამბების მოლოდინშია: „ეს მართლაც ძალიან მაგარია — ერთად შეყარო ყინული და ცეცხლი, ნიჭიერი, მაგრამ ცივი რაიკონენი და სწრაფი, მაგრამ ფიცხი მონტოია. მე მწვავე ბრძოლის მოლოდინში ვარ, მსგავსი დუელები ფორმულა 1-ში დიდი ხანია, არ ყოფილა."

ახალი „მაკლარენის" პრეზენტაცია ბარსელონის ავტოდრომზე მოეწყო. მანქანაზე მუშაობა შარშან მაისში დაიწყეს და კონვეირიდან 20 იანვარს გადმოაგორეს. ბოლიდის წარდგენისთანავე რაიკონენმა „კატალუნია მონტმელოს" ტრეკს რამდენჯერმე შემოუარა და კმაყოფილი დარჩა: „პირველი წრეების შემდეგ შთაბეჭდილება მეტად სასიამოვნოა, თუმცა ჩვენთვის მუშაობა მხოლოდ იწყება, თანდათან სიჩქარესაც მოვუმატებთ და დატვირთვებსაც."

მონტოია: „გარედან მანქანა შესანიშნავად გამოიყურება. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ პირველი კილომეტრების მერე ბოლიდზე, რომელმაც ეს-ეს არის დატოვა ლაბორატორია, არაფერი გაფუჭებულა."

2005 წლის შემოდგომიდან ევროპაში სიგარეტის რეკლამა აიკრძალება. ბუნებრივია, სხვა მეთამბაქოე გრანდებთან ერთად ფორმულას 1997 წლიდან „მაკლარენის" გენერალური სპონსორი „ვესტიც" დატოვებს.

ერთი თვის წინათ ხმა გავრცელდა, რომ „მაკების" კორპუსზე „ვესტის" ლოგოს შეცვლის ალკოჰოლური გიგანტი „ჯონი უოკერი", რომელიც ძირითადად უმაღლესი ხარისხის ვისკის წარმოებითაა სახელგანთქმული. საკონტრაქტო თანხაც კი დაასახელეს — დაახლოებით 65 მილიონი დოლარი. მართალია, „მაკლარენის" უფროსობა ამ გარიგებას უარყოფს, მაგრამ ეჭვი არაფრისგან ხომ არ გაჩნდებოდა.

**გია ახალაძე**



## მაკლარენი

**ვესტ მაკლარენ-მერსედესი**
გუნდი დაარსდა 1963 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1966 წლიდან
577 რბოლა; 139 მოგება; 115 პოული;
114 უსწრაფესი წრე; 2957,5 ქულა
ჩემპიონის ტიტული 11
კონსტრუქტორთა თასი 8
2004 წელს მეხუთე ადგილი (69 ქულა)
გუნდის მფლობელი და დირექტორი **რონ დენისი**
ტექნიკური დირექტორი **ედრიან ნიუი**
„მერსედეს-ბენცის" ვიცე-პრეზიდენტი **ნორბერტ ჰაუგი**
ბოლიდი **„მაკლარენ MP4-20"**
ძრავა **„მერსედეს FO 110Q" (V10)**
საბურავები **„მიშლენ პილოტი"**



**კიმი რაიკონენი**

**ფინეთი**
დაიბადა 1979 წლის 17 ოქტომბერს
ესპუში
ცხოვრობს შვეიცარიაში
ცოლიანი
სიმაღლე 175; წონა 63 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
პირველი გამარჯვება:
მალაიზიის დიდი პრიზი (2003)
68 რბოლა; 2 მოგება; 3 პოული;
6 უსწრაფესი წრე; 169 ქულა
2003 წლის მსოფლიოს
ვიცე-ჩემპიონი
2004 წელს VII ადგილი (45 ქულა)
გუნდები: „ზაუბერი" (2001)
„მაკლარენშია" 2002 წლიდან



**ხუან პაბლო მონტოია**

**კოლუმბია**
დაიბადა 1975 წლის 20 სექტემბერს
ბოგოტაში
ცხოვრობს მონტე კარლოში
ცოლიანი
სიმაღლე 168; წონა 72 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
პირველი გამარჯვება:
იტალიის დიდი პრიზი (2001)
68 რბოლა; 4 მოგება; 11 პოული;
11 უსწრაფესი წრე; 221 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი:
მესამე ადგილი (2002, 2003)
2004 წელს V ადგილი (58 ქულა)
გუნდები: „უილიამსი" (2001-04)
„მაკლარენშია" 2005 წლიდან



# ლამინე დიაკი, მამა მძლეოსნობისა და სხვათა მრავალთა



**პრიმო ნებიოლოს** სახელი სულ რამდენიმე წლის წინ ჰქუხდა და ქვეყანას აზანზარებდა. სწორედ ლეგენდარული იტალიელის წყალობით ავიდა მძლეოსნობა სულ სხვა სიმაღლეზე, სულ სხვა ელფერი შეიძინა, უფრო ზუსტად კი გამდიდრდა, „სპორტის დედოფლობა" ერთიორად დაიმშვენა და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ამბობდნენ, რომ ნებიოლო მძლეოსნობისთვის იგივე იყო, რაც ჟოაო აველანჟი ფეხბურთისთვის, მაგრამ იტალიელი დიდმოხელე მე-20 საუკუნის ბოლოს გარდაიცვალა და...

იცით, ვინ არის დღეს მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი? ცხადია, ამას ფართო მკითხველს ვეკითხებით და არა მძლეოსნობაში მოტრიალე ადამიანებს. თუ იცით, ოლოლო თქვენ, თუ არა და მოგახსენებთ:

პრეზიდენტი გახლავთ ლამინე დიაკი ეროვნებით სენეგალელი, დაბადებული 1933 წლის 7 ივნისს, ფრანგულად და ინგლისურად უბადლოდ მოლაპარაკე, თხუთმეტი (15!) შვილის მამა.

პროფესიით ბატონი დიაკი გადასახადთა და სახელმწიფო საკუთრების შეფ-ინსპექტორი გახლავთ. იგია სენეგალის წყლის ეროვნული კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. მძლეოსნობის ფედერაციასთან დაკავშირებულია 1976 წლიდან. იმ დროიდანვე 1991 წლამდე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, ხოლო 1991-1999 წლებში იყო მთავარი ან თუ გნებავთ, უფროსი ვიცე-პრეზიდენტი. 1999 წლის 8 ნოემბერს, პრიმო ნებიოლოს სიკვდილის შემდეგ, ლამინე დიაკი პრეზიდენტია.

კიდევ: 1973-2003 წლებში იგი მუშაობდა აფრიკის მოყვარულ მძლეოსანთა კონფედერაციის პრეზიდენტად, 1963-1964 წლებში სენეგალის მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი გახლდათ. ამ ორგანიზაციას ბატონი დიაკი პრეზიდენტობდა 1974-1978 წლებში და იმავდროულად ბრძანდებოდა სენეგალის ოლიმპიური კომიტეტის შეფიც. ამ თანამდებობას იგი დღემდე მყარად ინარჩუნებს.

უფრო თვალისმომჭრელია ლამინე დიაკის საზოგადო მოღვაწეობა. მაგალითად, 1963-1964 წლებში ის იყო ფეხბურთის მწვრთნელიც, ხოლო 1964-1968 წლებში ქვეყნის ეროვნული ნაკრების ტექნიკური დირექტორი ბრძანდებოდა. შემდეგ დიაკი იყო სპორტის კომისიონერი, ახალგაზრდობის და სპორტის მინისტრი, აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს აღმასკომის წევრი, ქალაქ დაკარის მერი, სენეგალის პარლამენტის წევრი და ბოლოს ვიცე-სპიკერიც კი.

სპორტსმენი თუ იყო? იყო! 1957 წელს სიგრძეზე ხტომაში ფრანგულენოვანი აფრიკის რეკორდი დაამყარა და ეს რეკორდი 1960 წლამდე ხელუხლებელი იყო. 7,63 მეტრზე გადახტომამ 1958 წელს საფრანგეთის ჩემპიონის წოდება მოუტანა, ხოლო 1959 წელს 7,72 მეტრზე გადახტომით ფრანგთა საუნივერსიტეტო ჩემპიონი შეიქნა.

რაც შეეხება ლამინე დიაკის საპატიო წოდებებს, მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

**ტუტა სიხარულიძე**

## IAAF-ის ყოფილი პრეზიდენტები



ზიგფრიდ ედსტრიომი (შვედეთი) 1912-46



ლორდ ბარლი (დიდი ბრიტანეთი) 1946-76



ადრიაან პაულენი (ჰოლანდია) 1976-81



პრიმო ნებიოლო (იტალია) 1981-99

# ანდრე თავისუფალია

ლეგენდარული ანდრე აგასისთვის ავსტრალიის ღია პირველობა მეოთხედფინალში დასრულდა: იქიდან როჯერ ფედერერმა სამ სეტში, საბრძოლო, მაგრამ პირწმინდა დამარცხებით გამოისტუმრა. ანდრეს მეუღლე შტეფიმ (გვარს არ დავასახელებთ), ცხადია, მოიწყინა.

REUTERS მულტიფურნიდან





# რჩეულთა მეთაურები

ბარე სამი წელიწადია, ზელანდიელ მთაკაცს, ტრანსპლანტაცია-ტრავმებით ტანჯულ ჯონა ლომუს საერთაშორისო რაგბი არ უთამაშია. მსოფლიოს თასის მომგებ ინგლისელთა კაპიტანმა მარტინ ჯონსონმა კი შემოდგომაზე მიატოვა ნაკრები. და მაინც, ისინი ითამაშებენ თვიქნემში, 4 ივნისს. მარტინ ჯონსონის 15 რჩეული მსოფლიოს 15 რჩეულს შეხვდება. კაპიტნებად კი ესენი იქნებიან.

# წლის ჯეილი



ოჰ, რა პატივია: სუმოს დიდმა ჩემპიონმა — იოკოძუნამ, ტომით მონღოლმა ასასიორუმ თვით იაპონიის პრემიერ იუნიჩირო კოიძუმისგან მიიღო წლის სპორტსმენის ჯილდო. პატივი და დიდება გოლიათებს.

# ჰერმინატორის მორიგი

ჰერმან მაიერი კვლავ ცხენზეა. ანუ კვლავ თხილამურზეა. დიდი ჰერმინატორი მორიგ გამარჯვებას ზეიმობს გიგანტური სლალომის მსოფლიოს თასზე, ავსტრიულ კიცბიუელში.

REUTERS კომპიუტერიდან




# საქველმოქმედოდ

სულ განთქმულ მეგოლფეებს მოუყრიათ თავი სინგაპურში, საქველმოქმედო ყვანჯოსნობაზე. ოღონდაც თამაში ნამდვილ მინდორზე კი არ გამართულა, არამედ „ჰიტაჩის" ცათამბჯენში. ოთახის გოლფის ნოხებზე სქოთი კოლინ მონტგომერი თავის თვალისზომას და ხელის სიზუსტეს კიდევ ერთხელ ამოწმებს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხოძერიკი, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე ლევან კლაურაძე
ოთარ მღლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge